საქართველოს სსრ იუსტიციის

# დებულე

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტ
(ცვლილებებით 1954 წ. იანვრ

# ინსტრუქცი

საქართველოს სსრ იუსტიციის სა
საქართველოს სსრ სახელმწიფო
დებულების გამოყენების შ

სახელგამი
თბილისი
1955

# დებულება

## საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 11 აპრილის № 412 დადგენილებით

## თავი I

### სახელმწიფო სანოტარო კანტორების ორგანიზაცია და მათი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა

1. სახელმწიფო სანოტარო კანტორები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მთავრობათა დადგენილებებით და განკარგულებებით და ამა დებულებით.

2. სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგენით.

3. ქალაქ თბილისში, ქუთაისში, სუხუმში, ბათუმსა და სტალინირში მდებარე პირველ სანოტარო კანტორებში სანოტარო მოქმედებას ასრულებენ უფროსი ნოტარიუსები, დანარჩენ სანოტარო კანტორებში კი — ნოტარიუსები.

უფროსი ნოტარიუსები, იმ სანოტარო მოქმედების გარდა, რასაც ყველა ნოტარიუსი ასრულებს, ასრულებენ აგრეთვე ისეთ სანოტარო მოქმედებასაც, რაც გათვალისწინებულია სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 3 ივნისის დადგენილებით „იმ დოკუმენტის ასლების დამოწმების მოწესრიგების შესახებ, რომელიც მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ინტერესებს შეეხება“ (სსრკ კან. კრ., 1937 წ., № 37, მუხ. 149).

აგრეთვე ეხმარებოდეს დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

ნოტარიუსი მოვალეა შეამოწმოს გარიგებაში მონაწილე პირთა პირადობა, უფლებაუნარიანობა, ქმედობაუნარიანობა და მათი ხელმოწერის სინამდვილე.

იმ მოქალაქეთა პირადობის დადგენა, რომელთაც ნოტარიუსი არ იცნობს, ხდება პასპორტით, ხოლო იქ, სადაც პასპორტიზაცია ჩატარებული არ არის, მილიციიდან ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომიდან გაცემული ცნობით ან მოწმობით.

16. ნოტარიუსი და სახელმწიფო სანოტარო კანტორების თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან მათ მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.

ცნობები და დოკუმენტები მიეცემათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებაში ან იმ პირებს, რომელთა დავალებით და რომელთა მიმართ შესრულებულია სანოტარო მოქმედება; აღნიშნული ცნობები და დოკუმენტები გაიცემა აგრეთვე პროკურატურის, სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოთა მოთხოვნით ისეთ შემთხვევებში, რაც კანონით არის გათვალისწინებული.

## თავი IV

### სანოტარო მოქმედების შესრულების წესი

17. ყველა სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგებისა და შემოწმებული დოკუმენტის ტექსტი დაწერილი უნდა იყოს გარკვევით და ზუსტად; ყველა ის რიცხვი, ნომერი და ვადა, რაც კი დოკუმენტის შინაარსს შეეხება, ერთხელ მაინც სიტყვებით უნდა აღინიშნოს, ამოფხეკა არ შეიძლება, ხარვეზები უნდა გადაიხაზოს. ყოველგვარი მინაწერი უნდა აღინიშნოს გარიგების მონაწილე პირთა ხელმოწერის წინ ან განმეორებულ უნდა იქნას დამოწმების წარწერაში.



მიწერა და შესწორება ისე უნდა გაკეთდეს, რომ შეიძლებოდეს პირვანდელი ტექსტით წაკითხვა ყოველივე იმისა, რაც შეცდომით იყო დაწერილი, ხოლო შემდეგ შესწორებული და წაშლილი.

ისეთი დოკუმენტის ტექსტში შეტანილ შესწორებებსა და მინაწერებს, რომელსაც მხარენი ხელს არ აწერენ, აღნიშნავს და ხელს მოაწერს მხოლოდ ნოტარიუსი.

18. პირთა აღნიშნულობის დროს სრულად უნდა იქნას ნაჩვენები მათი გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი. იურიდიულ პირთა სახელწოდება ერთხელ მაინც უნდა იქნას მოხსენებული სრულად — შეუმოკლებლად, მათი ორგანოების (გამგეობა და ა. შ.) მისამართის აღნიშვნით.

19. სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებებსა და დასამოწმებელ დოკუმენტზე ხელის მოწერა ხდება ნოტარიუსის თანდასწრებით. თუ დოკუმენტის ხელის მოწერას ნოტარიუსი არ ესწრებოდა, ხელის მომწერმა უნდა დაუდასტუროს ნოტარიუსს, რომ დოკუმენტი მის მიერ არის ხელმოწერილი.

20. ნოტარიუსს შეუძლია არ მოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმ წარმომადგენელთა პირადად გამოცხადება, რომლებსაც იგი იცნობს, თუ მათი ხელმოწერის სინამდვილე მასში ეჭვს არ იწვევს.

21. სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის დღესვე და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება სანოტარო მოქმედების შესრულების გადადება სხვა დროისათვის, რაც არ უნდა აღემატებოდეს სამ დღეს.

იმ პირს, რომელსაც სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი ეთქვა, უარის თქმის მიზეზი უნდა ეცნობოს, თუ იგი ამას მოითხოვს, წერილობით, თანაც განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.

22. სანოტარო წესით გარიგების დამოწმებისა და დოკუმენტის შემოწმებისას ამ გარიგებასა და დოკუმენტზე კეთდება დადგენილი ფორმის საამისო წარწერა, რომელსაც ხელს მოაწერს ნოტარიუსი და დაესმის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან სასოფლო საბჭოს ღერბის ბეჭედი.

ქ) ფულადი თანხების ან ფასიანი ქაღალდების დეპოზიტად მიღება კუთვნილებისამებრ გადასაცემად;

რ) დოკუმენტების მიღება შესანახად;

ს) სანოტარო მოქმედებათა შესრულებასთან დაკავშირებული ტექნიკური მომსახურების გაწევა.

11. მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებას:

ა) მინდობილობის დამოწმება;

ბ) ისეთი ხელშეკრულების დამოწმება, რომლითაც ხდება შენობის ყიდვა-გაყიდვა გადატანით და რომლის თანხა 600 მანეთამდეა;

გ) ტექნიკური კულტურების კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დამოწმება თანხის შეუზღუდველად;

დ) სხვა ხელშეკრულებათა (გარიგებათა) დამოწმება თანხით 500 მანეთამდე;

ე) კორესპონდენციის მიმღების პირადობის დამოწმება;

ვ) ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება ისეთ დოკუმენტებზე, რომლებიც არ შეიცავს გარიგების შინაარსს;

ზ) ისეთი დოკუმენტის ასლის სისწორის დამოწმება, რომელიც შეეხება მოქალაქის ქონებრივ მდგომარეობას, მის ოჯახურ მდგომარეობას (დაბადების, ქორწინების, სიკვდილის მოწმობა), ცნობისა საბჭოთა არმიაში სამსახურის შესახებ, რომელიც გაცემულია ოჯახისათვის შეღავათების მისაცემად, სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდის ცნობისა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე კოლმეურნეობისა და სარეწაო არტელის იმ დადგენილების ამონაწერისა, რომელიც მოცემულ მოქალაქეს შეეხება.

**შენიშვნა:** „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების ასლების სისწორის შემოწმებას აწარმოებენ მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, მაგრამ მხოლოდ იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე.



თ) აღსრულების წარწერის გაცემა სამუშაო ხელფასის გადასახდევინებლად წერილობითი შრომითი ხელშეკრულებებით, საანგარიშსწორებო წიგნაკებით ან საანგარიშსწორებო ფურცლებით მწყემსების დაქირავების შესახებ.

## თ ა ვ ი III

### სახელმწიფო სანოტარო კანტორების საქმიანობის ზოგადი წესები

12. სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება საქართველოს სსრ ფარგლებში მდებარე ყოველ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, იმ შემთხვევებს გარდა, რაც კანონში და ამა დებულებაშია აღნიშნული, როდესაც სანოტარო მოქმედება აუცილებლად შესრულებულ უნდა იქნას ერთ განსაზღვრულ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

საკავშირო და რესპუბლიკური მთავრობის დადგენილების, სასამართლო ორგანოს განაჩენის, სამეურნეო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდების ან დებულების, უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის ასლის დამოწმება, აგრეთვე ამა თუ იმ დოკუმენტის ასლიდან გადაღებული ასლის დამოწმება ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ სანოტარო კანტორებში, რომლებსაც სათავეში უდგანან უფროსი ნოტარიუსები.

13. ნოტარიუსს შეუძლია სანოტარო მოქმედება შეასრულოს სანოტარო კანტორის გარეშეც, თუ რომ იმ მოქალაქეს, რომლისთვისაც სანოტარო მოქმედება სრულდება, საპატიო მიზეზით არ შეუძლია გამოცხადდეს სახელმწიფო სანოტარო კანტორაში (ავადმყოფობა, ინვალიდობა და ა. შ.).

14. ნოტარიუსს არ შეუძლია სანოტარო მოქმედება შეასრულოს თავისი სახელით, თავისი მეუღლის სახელით ან მის სახელზე, თავისი ან თავის მეუღლის პირდაპირი ხაზის ნათესავების, თავისი ძმების, დების და აგრეთვე იმავე სანოტარო კანტორის თანამშრომელთა სახელით ან მათს სახელზე.

15. ნოტარიუსი ვალდებულია თვალყური ადევნოს იმას, რომ ყველა სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება და შესამოწმებელი დოკუმენტი კანონიერი იყოს, ვალდებულია

აგრეთვე ეხმარებოდეს დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

ნოტარიუსი მოვალეა შეამოწმოს გარიგებაში მონაწილე პირთა პირადობა, უფლებაუნარიანობა, ქმედობაუნარიანობა და მათი ხელმოწერის სინამდვილე.

იმ მოქალაქეთა პირადობის დადგენა, რომელთაც ნოტარიუსი არ იცნობს, ხდება პასპორტით, ხოლო იქ, სადაც პასპორტიზაცია ჩატარებული არ არის, მილიციიდან ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომიდან გაცემული ცნობით ან მოწმობით.

16. ნოტარიუსი და სახელმწიფო სანოტარო კანტორების თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან მათ მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.

ცნობები და დოკუმენტები მიეცემათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებაში ან იმ პირებს, რომელთა დავალებით და რომელთა მიმართ შესრულებულია სანოტარო მოქმედება; აღნიშნული ცნობები და დოკუმენტები გაიცემა აგრეთვე პროკურატურის, სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოთა მოთხოვნით ისეთ შემთხვევებში, რაც კანონით არის გათვალისწინებული.

## თავი IV

### სანოტარო მოქმედების შესრულების წესი

17. ყველა სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგებისა და შემოწმებული დოკუმენტის ტექსტი დაწერილი უნდა იყოს გარკვევით და ზუსტად; ყველა ის რიცხვი, ნომერი და ვადა, რაც კი დოკუმენტის შინაარსს შეეხება, ერთხელ მაინც სიტყვებით უნდა აღინიშნოს, ამოფხეკა არ შეიძლება, ხარვეზები უნდა გადაიხაზოს. ყოველგვარი მინაწერი უნდა აღინიშნოს გარიგების მონაწილე პირთა ხელმოწერის წინ ან განმეორებულ უნდა იქნას დამოწმების წარწერაში.



მიწერა და შესწორება ისე უნდა გაკეთდეს, რომ შეიძლებოდეს პირვანდელი ტექსტით წაკითხვა ყოველივე იმისა, რაც შეცდომით იყო დაწერილი, ხოლო შემდეგ შესწორებული და წაშლილი.

ისეთი დოკუმენტის ტექსტში შეტანილ შესწორებებსა და მინაწერებს, რომელსაც მხარენი ხელს არ აწერენ, აღნიშნავს და ხელს მოაწერს მხოლოდ ნოტარიუსი.

18. პირთა აღნიშნულობის დროს სრულად უნდა იქნას ნაჩვენები მათი გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი. იურიდიულ პირთა სახელწოდება ერთხელ მაინც უნდა იქნას მოხსენებული სრულად — შეუმოკლებლად, მათი ორგანოების (გამგეობა და ა. შ.) მისამართის აღნიშვნით.

19. სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებებსა და დასამოწმებელ დოკუმენტზე ხელის მოწერა ხდება ნოტარიუსის თანდასწრებით. თუ დოკუმენტის ხელის მოწერას ნოტარიუსი არ ესწრებოდა, ხელის მომწერმა უნდა დაუდასტუროს ნოტარიუსს, რომ დოკუმენტი მის მიერ არის ხელმოწერილი.

20. ნოტარიუსს შეუძლია არ მოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმ წარმომადგენელთა პირადად გამოცხადება, რომლებსაც იგი იცნობს, თუ მათი ხელმოწერის სინამდვილე მასში ეჭვს არ იწვევს.

21. სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის დღესვე და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება სანოტარო მოქმედების შესრულების გადადება სხვა დროისათვის, რაც არ უნდა აღემატებოდეს სამ დღეს.

იმ პირს, რომელსაც სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი ეთქვა, უარის თქმის მიზეზი უნდა ეცნობოს, თუ იგი ამას მოითხოვს, წერილობით, თანაც განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.

22. სანოტარო წესით გარიგების დამოწმებისა და დოკუმენტის შემოწმებისას ამ გარიგებასა და დოკუმენტზე კეთდება დადგენილი ფორმის საამისო წარწერა, რომელსაც ხელს მოაწერს ნოტარიუსი და დაესმის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან სასოფლო საბჭოს ღერბის ბეჭედი.

## თავი V

### გარიგების სანოტარო წესით დამოწმება

23. სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა ისეთი გარიგებისათვის, რომლის შესასრულებლად კანონით სანოტარო ფორმაა დადგენილი და რომელსაც უამისოდ ძალა არა აქვს.

სანოტარო დამოწმება სავალდებულოა აგრეთვე გადარწმუნების (რწმუნების გადაცემის) უფლების ძალით გაცემული მინდობილობისათვისაც.

სახელმწიფო სანოტარო კანტორა, მხარეთა სურვილით, ამოწმებს სხვა გარიგებებსაც, რომლებიც კანონს არ ეწინააღმდეგებიან და რომლებისთვისაც კანონით სავალდებულო არ არის სანოტარო წესით დამოწმება, უკეთუ ეს სურთ გარიგების მონაწილე პირებს, ამოწმებს აგრეთვე გარიგებებს სოფელ ადგილებში შენობათა გასხვისების შესახებ.

კოლმეურნეობებისათვის მიჩენილ მიწებზე მდებარე შენობათა გასხვისება დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობამ უარი განაცხადა შენობის ყიდვაზე და არსებობს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება, რომ დაეთმოს მყიდველს მიწის ნაკვეთი, რომელიც შენობას უჭირავს (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წ. 13 სექტემბრის № 1459 დადგენილება).

24. სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგება სახელმწიფო სანოტარო კანტორას წარედგინება ორ ან სამ ეგზემპლარად: ერთი ეგზემპლარი (ძირითადი) შეინახება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ხოლო მეორე მიეცემა მხარეს, გარიგების ტექსტში აღნიშნული მითითების თანახმად. თუ მხარენი მოისურვებენ, თვითეულ მათგანს შეიძლება მიეცეს თითო ეგზემპლარი. ყველა ეგზემპლარი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ, ხოლო მათზე გაკეთებული დამოწმების წარწერა — ნოტარიუსის მიერ.

25. ყოველგვარი ქონების გასხვისებისა და გაყოფის გარიგებათა სანოტარო წესით დამოწმების დროს, სახელმწიფო სანოტარო კანტორა ვალდებულია მოითხოვოს საფინანსო ორგანოს ცნობა ყველა გადასახადის შესახებ, რაც კი ქონების მესაკუთრეზე ირიცხება, იმისდა მიუხედავად დადგა ამ გადასახადების გადახდის ვადა თუ არა.



გარიგების დამოწმება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ სანოტარო კანტორას წარედგინება საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ დარიცხული გადასახადი გადახდილია ან თუ საფინანსო ორგანო თანახმა იქნება დარიცხული გადასახადი გადატანილ იქნას ქონების ახალ შემძენზე.

26. შენობის გასხვისების ან გირავნობის გარიგებათა სანოტარო წესით დამოწმების დროს, ნოტარიუსმა უნდა შეამოწმოს — ეკუთვნის თუ არა შენობა იმ პირს, რომელიც მას ასხვისებს ან აგირავებს, და მოითხოვოს კომუნალური ორგანოს ცნობა — ხომ არ არის შენობა ყადაღადადებული და ამასთან ერთად ამავე საკითხის გამოსარკვევად უნდა გადასინჯოს სანოტარო კანტორის რეესტრი, სადაც იწერება ბანკის უწყებების მიხედვით შენობების დაყადაღება.

27. შენობის გირავნობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დროს სახელმწიფო სანოტარო კანტორა ყადაღას დაადებს დასაგირავებელ ქონებას და ამას აცნობებს კომუნალურ ორგანოს ყადაღის რეგისტრაციისათვის.

თუ ქონებაზე ყადაღა დადებულია, გარიგების (ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა) დამოწმება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ქონებას ყადაღა მოეხსნება ან თუ ყადაღა გადაიტანება მყიდველზე კრედიტორის თანხმობით.

28. ისეთ შემთხვევაში, თუ გარიგების დედანი დაიკარგა, ნოტარიუსი გასცემს მის მიერ ხელმოწერილ დუბლიკატს, მაგრამ საამისოდ საჭიროა მეორე მხარის წერილობითი თანხმობა, რომელზედაც იქნება ამ მხარის შემოწმებული ხელმოწერა. დუბლიკატი გაიცემა აგრეთვე სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

შენობის შეძენის ხელშეკრულების დუბლიკატი, ისეთ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დედანი დაიკარგა, მიეცემა შემძენს შენობის გამყიდველი პირის თანხმობის გარეშე, კომუნალური ორგანოს ცნობის საფუძველზე.

29. სახელმწიფო სანოტარო კანტორა ანდერძს დაამოწმებს მხოლოდ მაშინ, თუ იგი წარედგინება კანტორას პირადად თვით მოანდერძის მიერ.

რწმუნებულის მეშვეობით ანდერძის დამოწმება არ შეიძლება.

30. სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა შეიძლება გადაეცეს მარწმუნებელს ან დაინტერესებულ პირს ტელეგრაფით.

## თავი VI

### დოკუმენტებზე აღსრულების წარწერა

31. ფულის გადასახდევინებლად ან მოვალისაგან სხვა ქონების გამოსათხოვნად სახელმწიფო სანოტარო კანტორა გააკეთებს დოკუმენტებზე აღსრულების წარწერას, რომელშიც აღნიშნულია მოვალის ვალდებულება.

ისეთი დოკუმენტების ნუსხას, რომლებზედაც გადახდევინება ხდება სახელმწიფო სანოტარო კანტორის აღსრულების წარწერის საფუძველზე, დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

> **შენიშვნა:** აღსრულების წარწერა არ გაიცემა ისეთ დოკუმენტებზე, რომლებიც კოლმეურნეობებისა და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების დავალიანებას შეეხება; დავალიანების გადახდევინება ხდება საერთო-სასარჩელო წესით, იმ შემთხვევებს გარდა, რაც კანონში ცალკეა აღნიშნული.

32. გადახდევინება აღსრულების წარწერის საფუძველზე ხდება იმ წესით, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის არის დადგენილი.

33. სახელმწიფო სანოტარო კანტორა აღსრულების წარწერას გასცემს იმ შემთხვევაში:

ა) თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტიდან აშკარად ჩანს მოვალის დავალიანება ან სხვა პასუხისმგებლობა გადამხდევინებლის მიმართ;

ბ) თუ იმ დღიდან, როდესაც მოთხოვნის ვადა დადგა, ერთ წელიწადზე მეტი დრო არ გასულა.

თუ იმ მოთხოვნისათვის, რომელზედაც აღსრულების წარწერა იცემა, კანონით დადგენილია ხანდაზმულობის შემოკლებული ვადა ერთ წელიწადზე ნაკლები — აღსრულების წარ-



წერა ასეთ შემთხვევაში გაიცემა ამ შემოკლებული ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში.

34. აღსრულების წარწერაში უნდა აღინიშნოს:

ა) სახელმწიფო სანოტარო კანტორის დასახელება;

ბ) ნოტარიუსის გვარი და ინიციალები;

გ) გადამხდევინებლის დასახელება; მოვალის დასახელება და მისამართი;

დ) ის ვადა, რომელშიც გადახდევინება ხდება (ნაწილ-ნაწილ გადახდევინების დროს აღინიშნება განსაზღვრული ვადები);

ე) გადასახდევინებელი თანხის ზუსტი ოდენობა ან გამოსათხოვნი საგნების ზუსტი დასახელება;

ვ) პროცენტები, თუ იგი ერგება გადამხდევინებელს;

ზ) აღსრულების წარწერის გაცემისათვის გადამხდევინებლის მიერ გადახდილი ან მოვალისაგან გადასახდევინებელი სახელმწიფო ბაჟი;

თ) აღსრულების წარწერის გაცემის წელიწადი, თვე და რიცხვი, ნომერი რეესტრის მიხედვით, ნოტარიუსის ხელმოწერა და სახელმწიფო სანოტარო კანტორის ღერბის ბეჭედი.

35. აღსრულების წარწერის გაკეთება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (თავი XXIII).

## თავი VII

### ზომების მიღება გარდაცვალებულ მოქალაქეთა შემდეგ დარჩენილი ქონების დასაცავად, მემკვიდრეობის უფლებისა და ქონების ბეითალმანობის შესახებ მოწმობების გაცემა

36. იმ ადგილის სახელმწიფო სანოტარო კანტორა, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნა, დაწესებულების ან ორგანიზაციის შეტყობინებით, აგრეთვე დაინტერესებულ პირთა განცხადებით, მიიღებს ზომებს მოქალაქეთა გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების დასაცავად, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოს ან მემკვიდრეთა ინტერესები.

37. სახელმწიფო სანოტარო კანტორა დანიშნავს სამკვიდრო ქონების შემნახველს, ან, თუ გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონება საჭიროებს გამგებლობას (სახლმფლობელობა და სხვ.), პასუხისმგებელ მზრუნველს იმ სახელმწიფო ორგანოს წარდგენით, რომელიც სათანადო ქონებას განაგებს.

38. თუ საჭიროა, სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოახდენს განკარგულებას იმის შესახებ, რომ გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონებიდან გაიცეს თანხები შემდეგი ხარჯების დასაფარავად:

ა) სამკვიდროს დამტოვებლის ავადმყოფობის დროს მისთვის სამედიცინო დახმარების და მოვლისათვის, ხოლო გარდაცვალების შემდეგ—მისი დამარხვისათვის;

ბ) სამკვიდროს დამტოვებლის რჩენაზე მყოფ პირთა შენახვისათვის;

გ) ქონების დაცვისა და გამგებლობისათვის.

თუ სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში ფულადი თანხები არ მოიპოვება, სახელმწიფო სანოტარო კანტორას შეუძლია მოახდინოს განკარგულება გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ნივთების გაცემის შესახებ, მაგრამ ისეთი ნივთებისა, რომელთა ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ზემოაღნიშნული ხარჯების თანხას.

39. იმ ადგილის სახელმწიფო სანოტარო კანტორა, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნა, გასცემს მემკვიდრეთა ან დაინტერესებულ პირთა თხოვნით, მოწმობას სამკვიდრო ქონების კანონით ან ანდერძით სათანადო პირებზე გადასვლის შესახებ ან ქონების ბეითალმანობის შესახებ.

მოწმობაში ჩამოთვლილი უნდა იყვნენ მემკვიდრეები და აღინიშნოს სამკვიდრო ქონების შემადგენლობა და ადგილსამყოფელი, მისი შეფასება და თვითეული მემკვიდრის ხვედრი წილი, აგრეთვე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა.

40. მოწმობა კანონით მემკვიდრეობის უფლების შესახებ გაიცემა ექვსი თვის გასვლის შემდეგ, დღიდან მემკვიდრეობის გახსნისა ან ამ ვადის გასვლამდე, თუკი არსებობს ცნობები გარდაცვალებულის ყველა მემკვიდრის შესახებ.



მოწმობა ანდერძით მემკვიდრეობის უფლების შესახებ გაიცემა 6 თვის ვადის გასვლამდეც. იმ შემთხვევაში, როდესაც ქონება ნაანდერძევია იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც არ არიან ჩამოთვლილი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 418 მუხლში, მემკვიდრეობის უფლების მოწმობა გაიცემა მემკვიდრეების გამოცხადებისათვის კანონით დადგენილი 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წ. 13 სექტემბრის № 1459 დადგენილება).

41. თუ მემკვიდრეები არ გამოცხადდებიან კანონით დადგენილ ვადაზე, ან უარს იტყვიან მემკვიდრეობის მიღებაზე, ანდა თუ მოანდერძემ ყველა მემკვიდრეს მოუსპო მემკვიდრეობის უფლება, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო სანოტარო კანტორა გასცემს მოწმობას ქონების ბეითალმანობის შესახებ.

## თავი VIII

### შენობებზე ყადაღის დადება, აგრეთვე ქონების დაყადაღება გირავნობის ხელშეკრულების მიხედვით

42. სახელმწიფო სანოტარო კანტორა, როდესაც მიიღებს კომუნალურ ან სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან უწყებას იმის შესახებ, რომ ამა და ამ მოქალაქეს ბანკმა მისცა სესხი საბინაო მშენებლობისათვის, საცხოვრებელი სახლის ყიდვის, აღდგენისა და რემონტისათვის, ბანკის უწყებას გაუკეთებს წარწერას დაყადაღების შესახებ. უწყების პირველი ეგზემპლარი გაეგზავნება სათანადო კომუნალურ განყოფილებას ან სასოფლო საბჭოს რეგისტრაციისათვის, ხოლო მეორე ეგზემპლარი შეინახება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში სპეციალურ საქმეში „ყადაღა".

43. ბანკის უწყება სესხის გაცემის შესახებ და სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ დადებული ყადაღა გატარებულ უნდა იქნას სანოტარო კანტორის სპეციალურ რეესტრში.

44. შენობის გირავნობის ხელშეკრულების დამოწმების შემდეგ სახელმწიფო სანოტარო კანტორა დაუყოვნებლივ დადებს ყადაღას ამ შენობას, რასაც აცნობებს კომუნალურ ორგანოს რეგისტრაციისათვის.

## თავი IX

### დოკუმენტების ასლების და მათი ამონაწერების სისწორის შემოწმება

45. სახელმწიფო სანოტარო კანტორა ამოწმებს სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების, კოოპერაციული, პროფესიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემული დოკუმენტების ასლებისა და მათი ამონაწერის სისწორეს, თუ ეს დოკუმენტები კანონს არ ეწინააღმდეგება და მათ შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული მნიშვნელობა.

## თავი X

### სსრ კავშირის ხალხთა ენაზე და უცხო ენაზე დაწერილი დოკუმენტების თარგმანისა და ასლების სისწორის შემოწმება

46. სახელმწიფო სანოტარო კანტორა, რომლის ნოტარიუსმა ან მისმა მოადგილემ სსრკ ხალხთა ენა ან უცხო ენა იცის, კისრულობს:

ა) დოკუმენტის თარგმნას ქართულ ენიდან სხვა ენაზე და სხვა ენიდან ქართულ ენაზე და თარგმანის სისწორის შემოწმებას;

ბ) სსრ კავშირის ხალხთა ენაზე და უცხო ენაზე დაწერილი დოკუმენტების ასლების სისწორის შემოწმებას.

თუ ნოტარიუსმა არ იცის ის ენა, რომელზედაც დოკუმენტია დაწერილი, დოკუმენტი შეიძლება გადათარგმნოს სხვა პირმა, რომელმაც ეს ენა იცის და რომელსაც ნოტარიუსი პირადად იცნობს. ამ პირის ხელმოწერა თარგმანზე შემოწმდება ნოტარიუსის მიერ.

## თავი XI

### დოკუმენტებზე ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება

47. ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება შეიძლება ისეთ დოკუმენტზე, რომელიც გარიგების შინაარსს არ შეიცავს.

გარიგებაზე შეიძლება მხოლოდ იმ პირის ხელმოწერის შემოწმება, რომელმაც გარიგებას ხელი მოაწერა წერა-კითხვის უცოდინარის ან ისეთი პირის მაგიერ, რომელსაც ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო არ შეეძლო თვითონ მოეწერა გარიგებაზე ხელი.



## თავი XII

### საზღვაო პროტესტების შესრულება

48. სახელმწიფო სანოტარო კანტორა მიიღებს გემის კაპიტნის განცხადებას უკვე მომხდარი საერთო ან კერძო ავარიის შესახებ, ან ისეთი ავარიის შესახებ, რომელიც კაპიტნის ფიქრით შეიძლება მოხდეს, ანდა გემების უკვე მომხდარი დაჯახების შესახებ. ეს განცხადება წარედგინება კანტორას იმ წესით და იმ ვადებში, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1929 წლის 14 ივნისის დადგენილებით „დისპაშერების, დისპაშის შედგენის წესისა და საზღვაო პროტესტების შესახებ“ (სსრკ სავაჭრო ნაოსნობის კოდექსის VIII დანართი—სსრკ კან. კრ., 1929 წ., № 41, მუხ. 366).

49. კაპიტნის განცხადებისა და კაპიტნის მიერ წარმოდგენილი გემის ჟურნალის ან ამ ჟურნალის ამონაწერის მონაცემების საფუძველზე, აგრეთვე თვით კაპიტნის და შეძლებისამებრ, საკომანდო შემადგენლობისა და გემის ეკიპაჟის ორზე არანაკლები პირის გამოკითხვით, სახელმწიფო სანოტარო კანტორა შეადგენს საზღვაო პროტესტის აქტს.

აქტს ხელს მოაწერენ ნოტარიუსი, კაპიტანი და მოწმეები. აქტის ასლი მიეცემა კაპიტანს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს.

გემის კაპიტნის მიერ ავარიის შესახებ განცხადების შეტანას სახელმწიფო სანოტარო კანტორა დაუყოვნებლივ აცნობებს ნავსადგურის სამმართველოს.

## თავი XIII

### თამასუქების პროტესტის შესრულება

50. თამასუქის პროტესტი მისი გაუნაღდებლობისა ან გაუნაღდებლად მიუღებლობის გამო, მოხდება გადასაპირებელი და უბრალო თამასუქის დებულების წესების თანახმად (სსრკ კან. კრ., 1937 წ., № 52, მუხ. 221).

თამასუქის პროტესტის შესახებ თვით თამასუქზე კეთდება აღნიშვნა (წარწერა) დადგენილი წესის შესაბამისად და რეესტრში შეტანით. თამასუქზე გაკეთებულ აღნიშვნას (წარწერას) აღსრულების წარწერის ძალა აქვს.

## თ ა ვ ი XIV

### ჩეკის გაუნაღდებლობის დამოწმება

51. სახელმწიფო სანოტარო კანტორის მეშვეობით ჩეკის წარსადგენად განაღდებისათვის და ჩეკის გაუნაღდებლობის დასამოწმებლად, ჩეკის მქონებელმა ჩეკი უნდა წარუდგინოს სახელმწიფო სანოტარო კანტორას 10 დღის ვადაში, რაც დადგენილია ჩეკების შესახებ მოქმედი დებულების 11 მუხლით (სსრკ კან. კრ., 1929 წ., № 73, მუხ. 697), მაგრამ არაუგვი ანეს ამ ვადის გასვლის შემდეგ მომდევნო დღის 12 საათისა

ნოტარიუსი იმავე დღეს წარუდგენს ჩეკს გადამხდელს გასანაღდებლად და თუ გადამხდელმა ჩეკი არ გაანაღდა, ამას აღნიშნავს რეესტრში და თვით ჩეკზე (წარწერით).

ჩეკზე წარწერის გაკეთებასთან ერთად, სახელმწიფო სანოტარო კანტორა გაუგზავნის ჩეკის გამცემს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ ბანკმა ჩეკი არ გაანაღდა და რომ ჩეკზე სანოტარო წესით გაუკეთდა წარწერა. ეს შეტყობინება გაიგზავნება დაკვეთილი გზავნილების წესით თვით ჩეკში აღნიშნული მისამართით, ხოლო, თუ ჩეკში მისამართი აღნიშნული არ არის, — ჩეკის მქონებლის მიერ ნაჩვენები მისამართით

## თ ა ვ ი XV

### პირებისა და დაწესებულებების განცხადებათა გადაცემა სხვა პირებსა და დაწესებულებებზე

52. მოქალაქეებს, ხოლო ქონებრივი ურთიერთობის საკითხებზე დაწესებულებებსაც, უფლება აქვთ თავისი განცხადებანი გადასცენ ერთმანეთს სახელმწიფო სანოტარო კანტორის მეშვეობით. სახელმწიფო სანოტარო კანტორა განცხადებებს გადასცემს განცხადების შეტანის დროს დასახელებულ პირებს ან თავისი თანამშრომლების მეშვეობით, ან ფოსტით უკან დასაბრუნებელი შეტყობინებით, ამასთან ამ განცხადების ჩაბარება ხდება იმ წესით, რაც აღნიშნულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 70—72 და 74 მუხლებში.

განცხადების გადაცემის შესახებ სახელმწიფო სანოტარო კანტორა, ამა თუ იმ მხარის მოთხოვნით, გასცემს მოწმობას, რომელშიც აღინიშნება განცხადების ტექსტი, ორივე მხარის დასახელება, განცხადების ჩაბარების ან მის მიღებაზე უარის თქმის დრო, თუ ასეთი უარი ნათქვამი იყო, და განცხადებაზე მიღებული პასუხი, თუ იგი განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი იყო.



## თ ა ვ ი XVI

### უდავო გარემოებათა დამოწმება

53. ამა თუ იმ პირის ცოცხლად ყოფნა ან გარკვეულ ადგილს ყოფნა დამოწმდება ნოტარიუსის მიერ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი თვით გამოცხადდება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ან თუ ნოტარიუსი ამაში დარწმუნდება კანტორის გარეშე.

54. ამოშლილია (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წ. 13 სექტემბრის № 1459 დადგენილება).

55. ნოტარიუსისადმი დოკუმენტის წარდგენის დროის შემოწმება კეთდება თვით დოკუმენტზე, იმ პირის აღნიშვნით, რომელმაც დოკუმენტი წარადგინა.

53 და 55 მუხლებში აღნიშნულ გარემოებათა დამოწმების დროს უნდა მოხდეს მოქალაქეთა პირადობის შემოწმება.

## თ ა ვ ი XVII

### დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფა

56. დაინტერესებულ პირთა თხოვნით, სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოახდენს იმ დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფას, რომლებიც საჭირო იქნება სასამართლო

ან ადმინისტრაციულ დაწესებულებაში საქმის აღძვრის დროს, თუ არის საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ შემდეგში დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა შეუძლებელი გახდება ან გაძნელდება.

დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფის წესით, ნოტარიუსი სათანადო შემთხვევაში მოახდენს მოწმეთა დაკითხვას, ადგილობრივ დათვალიერებას და ექსპერტის დაბარებას.

სახელმწიფო სანოტარო კანტორას არ შეუძლია მოახდინოს დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფა ისეთ საქმეზე, რომელიც უკვე სასამართლოს ან სასამართლო ფუნქციების მქონე დაწესებულების წარმოებაშია.

57. დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფის მოხდენის დროს სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოქმედებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის XIV და XV თავებში, დაინტერესებულ პირთა დაბარებით წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად.

დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფა შეიძლება მოხდენილ იქნას მეორე მხარის დაუბარებლად მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში, ან ისეთ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ ვის წინააღმდეგ აღიძვრის შემდგომ სარჩელი.

ისეთ შემთხვევაში, თუ მოწმე ან ექსპერტი არ გამოცხადდა ან თუ მათ უარი სთქვეს ჩვენების ან დასკვნის მიცემაზე, სახელმწიფო სანოტარო კანტორა დაადებს მოწმეს ან ექსპერტს ჯარიმას საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 50—52 მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

## თ ა ვ ი XVIII

### ფულადი თანხების და ფასიანი ქაღალდების დეპოზიტად მიღება კუთვნილებისამებრ გადასაცემად

58. თუ შეუძლებელია გადაეცეს კრედიტორს მისი კუთვნილი ფული ან ფასიანი ქაღალდები, მოვალეს შეუძლია კრე-



დიტორისათვის გადასაცემი ფული და ფასიანი ქაღალდები შეიტანოს სახელმწიფო სანოტარო კანტორის დეპოზიტად კრედიტორისათვის გადასაცემად.

სახელმწიფო სანოტარო კანტორა შეტანილ ფულს და ფასიან ქაღალდებს მიიღებს დეპოზიტად, შეტანის საფუძვლის შეუმოწმებლად.

სახელმწიფო სანოტარო კანტორა აცნობებს კრედიტორს, რომ მისთვის შეტანილია ფული და ფასიანი ქაღალდები, და, თუ კრედიტორი მოსთხოვს, მისცემს მას მის კუთვნილ ფულს ან ფასიან ქაღალდებს.

59. ფულისა და ფასიანი ქაღალდების დაბრუნება იმ პირისათვის, ვინც ეს ფული ან ფასიანი ქაღალდები დეპოზიტად შეიტანა (დებიტორი), შეიძლება მხოლოდ იმ პირის წერილობითი თანხმობით, ვის სასარგებლოდაც ფული და ფასიანი ქაღალდებია შეტანილი (კრედიტორი), ანდა სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად.

## თ ა ვ ი XIX

### დოკუმენტების მიღება შესანახად

60. სახელმწიფო სანოტარო კანტორა მიიღებს დოკუმენტებს შესანახად აღწერილობის მიხედვით. აღწერილობა შედგება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან პირველი ეგზემპლარი დარჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმეებში.

შესანახად მიღებული დოკუმენტები ან ქაღალდები დაუბრუნდება მას, ვინც ეს დოკუმენტი წარადგინა, ან კანონიერად უფლებამოსილ პირს ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი აღწერილობის მეორე ეგზემპლარის წარდგენის შემდეგ ანდა სასამართლოს დადგენილების თანახმად.

## თ ა ვ ი XX

### ტექნიკური მომსახურების შესრულება

61. სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს სახელმწიფო სანოტარო კანტორა ასრულებს შემდეგ ტექნიკურ სამუშაოს:

ა) ადგენს ხელშეკრულების, მინდობილობის, განცხადე-
ბისა და სხვა დოკუმენტების პროექტს;
ბ) ამზადებს ასლებსა და ამონაწერებს.

## თ ა ვ ი XXI

### სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება

62. სანოტარო მოქმედების შესრულებისა და ტექნიკური
მომსახურებისათვის სახელმწიფო სანოტარო კანტორა ახდე-
ვინებს სახელმწიფო ბაჟს მოქმედი კანონმდებლობის შესაბა-
მისად.

## თ ა ვ ი XXII

### ინსტრუქციები სახელმწიფო ნოტარიატის დებულების ცხოვ-
რებაში გატარებისათვის

63. ამ დებულების ცხოვრებაში გასატარებლად ინსტრუქ-
ციებისა და ბრძანებების გამოცემა ეკისრება საქართველო
სსრ იუსტიციის სამინისტროს.

---

# ინსტრუქცია

## საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსი საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების გამოყენების შესახებ

(ეს ინსტრუქცია გამოცემულია საქართველოს
სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 63
მუხლის საფუძველზე)

## თ ა ვ ი I

### სახელმწიფო სანოტარო კანტორების საქმიანობა

### სანოტარო ორგანოების ფუნქციები

§ 1. სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ იმ
სანოტარო მოქმედებებს, რაც გათვალისწინებულია საქართ-
ველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების მე-10
მუხლით.

§ 2. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო
საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებენ იმ სა-
ნოტარო მოქმედებებს, რაც გათვალისწინებულია საქართვე-
ლოს სსრ სახელმწიფოს ნოტარიატის დებულების 11 მუხლით

### სანოტარო მოქმედებათა შესრულების ადგილი

§ 3. შენობების გასხვისებისა და გირავნობის ხელშეკრუ-
ლებათა სანოტარო წესით დამოწმება წარმოებს იმ ადგილის
სანოტარო კანტორის მიერ, სადაც გასასხვისებელი ან დასა-
გირავებელი ქონება იმყოფება.

თამასუქების პროტესტი მათი მიუღებლობის ან გაუნაღდე-
ბლობის გამო, ჩეკის გაუნაღდებლობის დამოწმება, ფულის

ან ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღება წარმოებს განაღდების ადგილის სანოტარო კანტორის მიერ.

სამკვიდრო ქონების დაცვა და მემკვიდრეობის უფლების და ქონების ბეიოალმანობის შესახებ მოწმობის გაცემა წარმოებს იმ ადგილის სანოტარო კანტორის მიერ, სადაც გაიხსნა მემკვიდრეობა. დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფა წარმოებს იმ სანოტარო კანტორის მიერ, რომლის რაიონშიაც უნდა მოხდეს მოქმედება დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფის შესახებ.

**სანოტარო მოქმედების შესრულება იმ სადგომის გარეშე, რომელიც დაკავებულია სანოტარო კანტორის მიერ**

§ 4. იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებულ პირს საპატიო მიზეზის გამო (ავადმყოფობა, ინვალიდობა და ა. შ.) არ შეუძლია სანოტარო კანტორის სადგომში მისვლა, ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო მოქმედება შეასრულოს დაინტერესებული პირის ბინაზე ან სხვა ადგილას, მაგალითად, საავადმყოფოში.

ასეთ შემთხვევებში დამოწმების წარწერაში აღინიშნება სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი; ამასთან სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს ორმაგად, გარდა ამისა ანაზღაურდება ნოტარიუსის მიმოსვლის ფაქტიური ხარჯები.

სანოტარო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული ტექნიკური მომსახურებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს ერთმაგად.

## თ ა ვ ი II

### სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესი

### ზოგადი წესები

§ 5. სანოტარო მოქმედების შესრულების დროს ნოტარიუსი ვალდებულია გაარკვიოს, ხომ არ ეწინააღმდეგება კანონს ის მოქმედება, რომლის შესრულების შესახებაც შემოსულია განცხადება.



იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედება უკანონოა, ნოტარიუსი უარს ეუბნება განმცხადებელს მის შესრულებაზე და განუმარტავს მას უარისთქმის მიზეზებსა და მისი გასაჩივრების წესს.

განმცხადებლის მოთხოვნით ნოტარიუსი ვალდებულია წერილობით აღნიშნოს უარისთქმის მიზეზი.

§ 6. სანოტარო კანტორის მიერ დამოწმებულ გარიგებებსა და დოკუმენტებში აღნიშნული უნდა იყოს სრულად, შეუმოკლებლად, ერთხელ მაინც, გარიგების მონაწილე იურიდიულ პირთა (დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების) სახელწოდება და მათი ორგანოების მისამართები, აგრეთვე სრული სახელი, მამის სახელი და გვარი იურიდიულ პირთა წარმომადგენლებისა, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებაში მონაწილეობენ. ასევე აღინიშნება სრული სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართები ცალკეული მოქალაქეებისა და მათი წარმომადგენლებისა, რომლებიც გარიგებაში ან სხვა სანოტარო მოქმედებაში მონაწილეობენ.

§ 7. გარიგებანი და დოკუმენტები შეიძლება შედგეს ქართულ ან სხვა ენაზე ქართული თარგმანის დართვით. როდესაც გარიგებაში ან სანოტარო წესით დასამოწმებელ სხვა მოქმედებაში მონაწილეობს ისეთი პირი, რომელმაც არ იცის ქართული ენა ან სხვა ენა, რომელზედაც შედგენილია დოკუმენტი, მაშინ დოკუმენტის ტექსტი უნდა გადაუთარგმნოს მას ნოტარიუსმა, თუკი მან იცის ენა, რომელიც გასაგებია გარიგებაში მონაწილე პირისათვის, ან ნოტარიუსისათვის ცნობილმა სხვა პირმა, რომელსაც შეუძლია დოკუმენტის ტექსტის სათანადო ენაზე თარგმნა.

თარგმანის სისწორეს ამოწმებს ნოტარიუსი. იმ შემთხვევაში, თუ ნოტარიუსმა არ იცის ენა, რომელზედაც შედგენილია გარიგება, თარგმანის სისწორეს ამოწმებს ნატარიუსისათვის ცნობილი სხვა პირი. ნოტარიუსი ამოწმებს აგრეთვე თარგმნელის ხელმოწერასაც.

§ 8. იმ პირის მაგიერ, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, ან ხელის მოწერა არ შეუძლია ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო, მისი დავალებით და ნოტარიუსის თანდასწრებით

ხელს აწერს სხვა პირი. ის პირი, რომელსაც არ შეუძლია ხელის მოწერა ქართულად ან იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილია სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგება, ხელს აწერს მისთვის ცნობილ ენაზე. თუ ნოტარიუსს ან ნოტარიუსისათვის ცნობილ სხვა პირს შეუძლია ხელმოწერის წაკითხვა, მაშინ ის ამ ხელმოწერას იმეორებს ქართული ასოებით და ამოწმებს თავისი ხელმოწერით.

§ 9. გარიგებაში მონაწილე ან დოკუმენტზე ხელის მომწერი ყრუ, მუნჯი ან ყრუმუნჯი, თუ ის წერა-კითხვის მცოდნეა, კითხულობს დოკუმენტს და თავის საკუთარ ხელს აწერს.

იმ შემთხვევაში, თუ ყრუ, მუნჯი ან ყრუმუნჯი წერა-კითხვის უცოდინარია, მაშინ მის მიერ გარიგების შესრულებისას ესწრება წერა-კითხვის მცოდნე, რომელსაც შეუძლია აუხსნას ყრუს, მუნჯს ან ყრუმუნჯს, და თავისი ხელმოწერით ადასტურებს, რომ დოკუმენტის შინაარსი შეესაბამება ყრუს, მუნჯის ან ყრუმუნჯის ნება-სურვილს.

როდესაც გარიგებაში ან სხვა სანოტარო მოქმედებაში მონაწილეობს უსინათლო, ნოტარიუსი აუცილებლად წაუკითხავს მას დოკუმენტის ტექსტს, რაც აღინიშნება თვითონ დოკუმენტში; ამასთან, თუ უსინათლო წერა-კითხვის მცოდნეა, ის თვითონვე აწერს ხელს, ხოლო თუ წერა-კითხვის უცოდინარია,—ხელს აწერს სხვა პირი.

§ 10. სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულებული იქნეს მხოლოდ კუთვნილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სანოტარო მოქმედება ასეთი ბაჟისაგან განთავისუფლებულია.

### სანოტარო მოქმედებაში მონაწილეთა პირადობის შემოწმება

§ 11. იმ პირთა პირადობის შემოწმება, რომლებიც ნოტარიუსისათვის უცნობი არიან და გარიგებაში ან სხვა სანოტარო მოქმედებაში მონაწილეობენ, წარმოებს პასპორტების ან მათ ნაცვლად გაცემული დროებითი მოწმობების საფუძველზე. ისეთ ადგილებში მცხოვრები პირნი, სადაც პასპორტიზაცია არაა გატარებული, თავისი პირადობის დას



დასტურებლად ადგენენ მილიციის ორგანოების ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების მიერ გაცემულ მოწმობებს.

ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა პირადობის შემოწმება წარმოებს სათანადო სარდლობის მიერ გაცემული მოწმობების საფუძველზე.

16 წლის ასაკამდე არასრულწლოვანთა პირადობის შემოწმება წარმოებს მათი მშობლების პასპორტებში ჩანაწერების, ხოლო თუ ასეთი ჩანაწერები არ არის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერ წიგნებში დაბადების შესახებ ჩანაწერების საფუძველზე.

### გარიგებათა შესრულება არასრულწლოვანთა და არაქმედობაუნარიანთა სახელით

§ 12. 14 წლის ასაკამდე არასრულწლოვანთა სახელით და იმ პირთა სახელით, რომლებიც სულით ავადმყოფობის ან გონებრივი სისუსტის გამო გამოცხადებული არიან არაქმედობაუნარიანებად, მოქმედებენ მათი წარმომადგენლები (მშობლები, შვილად ამყვანნი, მეურვეები). იმ არასრულწლოვანთა გარიგებანი და რწმუნებულებანი, რომლებსაც 14 წელი შეუსრულდათ, სრულდება თვითონ მათი სახელით, მაგრამ მზრუნველთა თანხმობით. მზრუნველის თანხმობა აღინიშნება გარიგებაში. გარიგების ქვეშ უნდა იყოს არასრულწლოვანისა და მისი მზრუნველის ხელმოწერა. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 94 მუხლში აღნიშნული გარიგებანი შეიძლება შესრულებული იქნეს მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის სათანადო ორგანოების თანხმობით.

### იურიდიულ პირთა უფლებაუნარიანობის შემოწმება

§ 13. იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს სათანადო დაწესებულების მიერ დამტკიცებული წესდება ან დებულება, რომლის ფარგლებშიაც მას შეუძლია გარიგებათა შესრულება.

სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი, სამეურნეო ორგანიზაციები და საწარმოები ექვემდებარებიან სახელმწიფო რეგისტრაციას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებში და სამხარეო, საოლქო, საქალაქო, საოკრუგო და რაიონულ საფინანსო ორგანოებში (დებულება სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ — სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 16 აპრილის დადგენილება. სსრ კავშირის დადგენილებათა კრებული 1940 წ. № 15, მუხ. 363; სსრ კავშირის ფინანსთა სახკომისარიატის 1940 წლის 6 აგვისტოს № 581—92 ინსტრუქცია. დადგენილებათა კრებული საფინანსო-სამეურნეო საკითხებზე 1940 წ. № 15—16).

სანოტარო კანტორა ამოწმებს, არის თუ არა დამტკიცებული და რეგისტრირებული წესდება ან დებულება და შესასრულებელი მოქმედება შეესაბამება თუ არა იმ უფლებებს, რომლებიც მინიჭებული აქვს იურიდიულ პირს მისი წესდებით ან დებულებით.

§ 14. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება ტარდება რეგისტრაციაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

### პროფკავშირთა ორგანიზაციების მიერ შესრულებულ გარიგებათა სანოტარო წესით დამოწმება

§ 15. სრულიად საკავშირო პროფესიული ორგანიზაციები (ცენტრალური კომიტეტები, ცენტრალური გამგეობები, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული გამგეობები, კომიტეტები, განყოფილებები) და საკავშირთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები (პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო, რესპუბლიკური, საოლქო, სამხარეო საბჭოები და ბიუროები) ქონებრივ-სამეურნეო დარგში სარგებლობენ, როგორც იურიდიული პირები, სამოქალაქო უფლებაუნარიანობით და სანოტარო კანტორებს შეუძლიათ დაამოწმონ მათ მიერ შესრულებული გარიგებანი.



პროფკავშირების ძირეული ორგანიზაციები საწარმოებსა და დაწესებულებებში (საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, ადგილკომები, სამადნო კომიტეტები, მუშათა კომიტეტები, რწმუნებულები და ა. შ.) იურიდიული პირის უფლებებით არ სარგებლობენ და არ შეუძლიათ არც თავისი სახელით, არც ზემდგომი პროფესიული ორგანიზაციების რწმუნებულობით რაიმე ქონებრივი გარიგების შესრულება. მათი სახელით სანოტარო კანტორამ არ უნდა შეასრულოს არავითარი სანოტარო მოქმედება.

როდესაც ასეთი გარიგების შესრულება აუცილებლად საჭიროა პროფკავშირის ძირეული ორგანიზაციისათვის, სათანადო ზემდგომ პროფესიულ ორგანიზაციას შეუძლია თავისი სახელით და თავისივე პასუხისმგებლობით მისცეს ყოველ ცალკე შემთხვევაში პერსონალური რწმუნებულობა პროფკავშირის ძირეული ორგანიზაციის ამა თუ იმ წევრს ან წარმომადგენელს (პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1927 წლის 18 იანვრის № 12 ცირკულარი. „შრომის სახალხო კომისარიატის უწყებები“ 1927 წ. № 6—7). ასეთ შემთხვევაში სანოტარო კანტორა ამოწმებს გარიგებას, რომელიც იურიდიული პირის უფლებების მქონე ზემდგომი პროფორგანიზაციის სახელით არის შესრულებული.

### იურიდიულ პირთა წარმომადგენლობა

§ 16. დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები, გრეთვე თანამდებობის პირნი, რომლებსაც წესდებით ან დებულებით აქვთ ამა თუ იმ მოქმედების შესრულების უფლება, ამ მოქმედებათა შესასრულებლად არ საჭიროებენ რწმუნებულობას. მათ უნდა წარადგინონ მხოლოდ თანამდებობაზე ყოფნის დამამტკიცებელი საბუთი.

იმ იურიდიულმა პირებმა, რომლებსაც განაგებენ არჩეული კოლექტიური ორგანოები, უნდა წარადგინონ ოქმები თანამდებობის პირთა არჩევის და მათ შორის მოვალეობათა განაწილების შესახებ. იურიდიული პირის წარმომადგენელი, რომელსაც იურიდიული პირის წესდების ან დებულების მი-

ხედვით უფლება არა აქვს იმოქმედოს უშუალოდ ამ იური
დიული პირის სახელით, ალჭურვილი უნდა იქნეს იმავ
იურიდიული პირის წესდებით ან დებულებით გათვალისწი
ნებული წესისამებრ გაცემული რწმუნებულობით.

## პროექტების შედგენა და ასლების გადაწერა

§ 17. ნოტარიუსი ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვ
ნით: ა) შეადგინოს იმ ხელშეკრულებათა, ანდერძთა, რწმუ
ნებულობათა პროექტები, რომლებიც დამოწმებული უნდ
იქნეს სანოტარო წესით; ბ) გადაწეროს იმ დოკუმენტებ
ასლები, რომლებიც წარდგენილია ასლების შესამოწმებლა
გ) გადაწეროს იმ დოკუმენტების ასლები, რომლებიც სანო
ტარო კანტორის საქმეებში რჩება დასაბრუნებელი დედნ
ნაცვლად.

ამ ტექნიკური მომსახურებისათვის სანოტარო კანტო
ახდევინებს სახელმწიფო ბაჟს დაწესებული ოდენობით, თ
ნახმად „სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ“ სსრ კა
შირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 29 აპრილის დადგენილებ
III კარის 1-ლი მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებისა (სს
კავშირის დადგენილებათა კრებული 1942 წ. №
მუხ. 71).

§ 18. ნოტარიუსი ვალდებულია მხარეების მიერ წარმო
გენილი ხელშეკრულებათა, ანდერძთა, რწმუნებულობათა
განცხადებათა პროექტები შეამოწმოს როგორც კანონიერ
ბის, ისე გამართული ენით შედგენის მხრივ და შეასწორ
ისინი, ამისათვის ბაჟის გადაუხდევინებლად.

§ 19. გარიგებათა სანოტარო წესით დამოწმების დრ
შემოწმებული უნდა იქნეს პირადობა, უფლებაუნარიან
და ქმედობაუნარიანობა გარიგების მონაწილეებისა, რომლ
ბიც უნდა გამოცხადდენ პირადად ან რწმუნებულთა მეშვეობ
(გამონაკლისი ნაჩვენებია სახელმწიფო ნოტარიატის დე
ლების მე-20 მუხლში), შემოწმებული უნდა იქნეს გარიგე
შინაარსი, მისი შესაბამისობა მხარეთა ნებასურვილისად
გარიგების კანონიერება.



გარიგების პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ორ ან
სამ ეგზემპლარად. ყველა ეგზემპლარი (ორი ან სამი) ხელმო-
წერილი უნდა იქნეს მხარეთა მიერ. ყველა ეგზემპლარზე
იწერება დამოწმების წარწერა, ხელს აწერს ნოტარიუსი და
ჩაიწერება რეესტრში.

§ 20. სანოტარო წესით დამოწმებული გარიგების პირველ
ეგზემპლარს მიემაგრება მის შესახებ ყველა დოკუმენტი,
მათი ასლები და ამონაწერები, რომლებიც წარდგენილია
მხარეთა უფლებაუნარიანობისა და ქმედობაუნარიანობის და
ნოტარიუსის მიერ შემოწმებულ სხვა გარემოებათა დასადას-
ტურებლად. ამ დოკუმენტებზე აღინიშნება გარიგების ნომე-
რი რეესტრის მიხედვით. გარიგების პირველი ეგზემპლარი
და გარიგების შესახებ ყველა დოკუმენტი დაუყოვნებლივ
ჩაიკერება წინათ დამოწმებულ გარიგებათა პირველ ეგზემპ-
აპარატით კავშირგაბმულობის ამა და ამ დაწესებულებ
ამა და ამ წლისთვის რიცხვში“.

ეს წარწერა შემოწმდება კავშირგაბმულობის დაწესებუ
ბის გამგის ან მისი შემცვლელი პირის ხელმოწერით და
შირგაბმულობის დაწესებულების ბეჭდის ტვიფრის და
ლენდარული შტემპელის დასმით.

## თ ა ვ ი V

### ალსრულების წარწერები

#### ზოგადი წესები

§ 76. სანოტარო კანტორა ალსრულების წარწერას
ცემს მხოლოდ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც აღნიშნუ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23
ვისტოს დადგენილებით დამტკიცებულ დოკუმენტთა ცა
ნუსხაში.

ალსრულების წარწერა არ გაიცემა კოლმეურნეობების
და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებისაგან
ვალიანების გადასახდევინებლად (საქართველოს სსრ სახ
მწიფო ნოტარიატის დებულების 31 მუხლის შენიშვნა), გა
იმ შემთხვევებისა, რომლებიც კანონში ცალკეა აღნიშნუ

§ 77. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის
ბულების 31 მუხლის შესასრულებლად ნოტარიუსი ვალ
ბულია შეამოწმოს: ა) წარმოდგენილია თუ არა ნუსხაში
ვენები დოკუმენტები გადახდევინების დასაბუთებისათვის
ბ) დამტკიცებულია თუ არა მოვალის დავალიანება წარმ
გენილი დოკუმენტების საფუძველზე.

§ 78. ალსრულების წარწერის გაცემა შეუძლია ყოველ
ნოტარო კანტორას, იმისგან დამოუკიდებლად, თუ
იმყოფებიან გადამხდევინებელი და მოვალე და სად მოხდ
წარწერის შესრულება.

§ 79. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაცი
საგან ფულადი სახსრების გადახდევინების შესახებ ალს



ლების წარწერის გაცემაზე თხოვნის წარდგენისას სანოტარო კანტორამ უნდა მოთხოვოს გადამხდევინებელს ბანკში მოვალეთა ანგარიშების №№ და ეს ცნობები შეიტანოს გასაცემ ალსრულების წარწერაში.

§ 80. ალსრულების წარწერა იწერება სავალო დედან დოკუმენტზე ან მასზე მიმაგრებულ ფურცელზე, რომელიც ზონარით მიემაგრება და ბეჭდის დასმით შემოწმდება. სავალო დოკუმენტისაგან ცალკე ალსრულების წარწერა არ გაიცემა.

§ 81. თუ სავალო დოკუმენტით გადახდევინება ნაწილ-ნაწილ უნდა მოხდეს, მაშინ ალსრულების წარწერა თითოეული გადახდევინების შესახებ შეიძლება გაკეთდეს დოკუმენტის ასლზე, რომელიც წარმოდგენილი და შემოწმებული იქნება გადამხდევინებლის — სახელმწიფო ორგანოს, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ, ან იმ დოკუმენტზე, რომლითაც დადასტურებულია ნაწილობრივი დავალიანება. ამ შემთხვევაში დედანთან ასლის სისწორეს ნოტარიუსი ამოწმებს სახელმწიფო ბაჟის გადაუხდევინებლად.

ერთსა და იმავე ვალდებულებაზე შემდგომი გაცემის დროს ასლების განმეორებით წარდგენა საჭირო არაა, არამედ საკმაოდ უნდა ჩაითვალოს პირადი ანგარიშებიდან ორი ეგზემპლარი ამონაწერის და ვალდებულების დედნის წარდგენა. ამონაწერის ერთი ეგზემპლარი რჩება სანოტარო კანტორის საქმეებში, ხოლო პირადი ანგარიშიდან ამონაწერის მეორე ეგზემპლარი სანოტარო კანტორის ალსრულების წარწერით და დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტებით ეძლევა გადამხდევინებელს. ვალდებულების დედანზე სანოტარო კანტორა აკეთებს აღნიშვნას ალსრულების წარწერის გაცემის შესახებ თანხის, თარიღისა და რეესტრის ნომრის ჩვენებით.

§ 82. სანოტარო კანტორის საქმეებში რჩება სავალო დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზედაც გაცემულია ალსრულების წარწერა, თუ ის მთლიანად ჩაწერილი არაა რეესტრში. სავალო დოკუმენტის ასლს ადგენს გადამხდევინებელი ან სანოტარო კანტორა, რომელიც ამ შემთხვევაში ახდევინებს სასყიდელს ტექნიკური მომსახურებისათვის.

§ 83. როცა სანოტარო კანტორაში შედის რამდენიმე

მოთხოვნა ერთნაირი ფორმის დოკუმენტების (ბლანკებზ
წერილი, ტიპიური ვალდებულებები და ა. შ.) საფუძვ
აღსრულების წარწერის გაცემის შესახებ, სანოტარო კა
რა არ მოითხოვს თითოეული ასეთი ვალდებულების ა
წარდგენას, არამედ იტოვებს ერთ ასლს ან ბლანკს დ
მოვალეთა სიას, რომლებისგანაც გადასახდევინებლად გ
მული უნდა იქნეს აღსრულების წარწერები, მოვალეთა
ლი დასახელებისა და მისამართების, გადახდის ვადების,
სრულების წარწერით გადასახდევინებელი თანხის აღნიშვ
ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა ცნობების აღნიშვნით
თუ ერთი სავალო დოკუმენტის საფუძველზე გაიცემა
დენიმე აღსრულების წარწერა სხვადასხვა ვადებით, ამ
თხვევაში. სავალო დოკუმენტის ასლი რჩება მხოლოდ ერთხ
აღსრულების წარწერის პირველად გაცემის დროს.
§ 84. აღსრულების წარწერით გადახდევინება წარმო
ისეთივე წესით, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილ
საფუძველზე.

### სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების დაცვა აღსრულების წარწერის გაცემის დროს

§ 85. უკეთუ იმ მოთხოვნისათვის, რომლის საფუძველ
დაც გაიცემა აღსრულების წარწერა, კანონით დაწესებუ
ხანდაზმულობის შემოკლებული ვადა ერთ წელიწადზე ნ
ლები, ამ შემთხვევაში აღსრულების წარწერა გაიცემა მ
ლოდ ხანდაზმულობის ამ შემოკლებული ვადის ფარგლე
(სამოქ. სამ. კოდ. მუხ. $44^1$ და შრომის კანონთა კოდე
მუხ. $93^2$).
იმ მოთხოვნის საფუძველზე, რომლისთვისაც კანონით
წესებულია ხანდაზმულობის ვადა ერთ წელიწადზე მე
აღსრულების წარწერა გაიცემა საქართველოს სსრ სახ
მწიფო ნოტარიატის დებულების 33 მუხლის შესაბამისად მ
ლოდ ერთი წლის ფარგლებში, დღიდან მოთხოვნის ვად
დადგომისა.



### ბაჟის გადახდევინება

§ 86. აღსრულების წარწერაში აღინიშნება ბაჟი, რაც გა-
იხადა გადამხდევინებელმა და რაც მოვალეს უნდა გადახ-
ეს გადამხდევინებლის სასარგებლოდ.
მოვალისაგან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ გა-
სახდელი ბაჟის გადახდევინება წარმოებს ცალკე აღსრუ-
ების წარწერის საფუძველზე იმ შემთხვევაში, როდესაც
ადამხდევინებელი კანონით განთავისუფლებულია ბაჟის გა-
ახდისაგან, როგორც, მაგალითად, ხელფასის გადახდევინე-
ის დროს.

### აღსრულების წარწერის დუბლიკატი

§ 87. სავალო დოკუმენტის დედნის დაკარგვის შემთხვე-
აში, მასზე შესრულებული აღსრულების წარწერით, აღსრუ-
ების წარწერის დუბლიკატი გაიცემა მხოლოდ სახალხო
ასამართლოს დადგენილებით.
დუბლიკატში შეიტანება სავალო დოკუმენტის ასლი და
ღსრულების წარწერის სრული ტექსტი სანოტარო კანტო-
აში დაცული დოკუმენტის და აღსრულების წარწერის ას-
ის ან რეესტრის ჩანაწერის საფუძველზე, აგრეთვე აღინიშ-
ება სახალხო სასამართლოს დადგენილება.
აღსრულების წარწერის საფუძველზე სასამართლო აღმას-
ულებელთა წარმოება, როგორც დაუმთავრებელი, ისე დამ-
ავრებელი, სანოტარო კანტორას არ უბრუნდება და გა-
ეცემა სახალხო სასამართლოს არქივს შესრულების ადგი-
ას.

### აღსრულების წარწერა ჩეკზე

§ 88. აღსრულების წარწერა ჩეკზე გაიცემა მხოლოდ იმ
მთხვევაში, როცა არის გადამხდელის წარწერა (ბანკის —
ის შესახებ, რომ ჩეკი წარედგინა გადამხდელს) წარდგენის
ლის და იმის აღნიშვნით, რომ ჩეკი არ იყო განაღდებული,
როცა ჩეკზე არის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან
სებული საანგარიშსწორებო დაწესებულების წარწერა, რომ

ჩეკი წარდგენილი იყო საანგარიშსწორებო დაწესებულება (წარდგენის დროის აღნიშვნით) და არ იყო განაღდებულ აღსრულების წარწერის გაცემის დროს ნოტარიუსი შეამო მებს, წარდგენილი იყო თუ არა ჩეკი გასანაღდებლად ა დღის განმავლობაში დღიდან მისი გაცემისა.

აღსრულების წარწერა გაიცემა სამი თვის განმავლობაში დღიდან გადამხდელის მიერ ჩეკის განაღდებაზე უარისთქმის, ხოლო ჩეკის გამნაღდებელი წამწერისათვის — სამი თვ განმავლობაში დღიდან განაღდებისა (დებულება ჩეკების შ სახებ, მუხ. 11. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულ ბელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 6 ნოემბრ დადგენილება. სსრკ კან. კრ. 1929 წ. № 73. მუხ. 697).

აღსრულების წარწერა გაიცემა ჩეკის მქონებლის სურვ ლისამებრ როგორც ჩეკის გამცემის, ისე ჩეკზე წარწერ გამკეთებლის მიმართ, რომელნიც პასუხისმგებლებია ჩეკ განაღდებისათვის.

§ 89. თუ ჩეკის გაუნაღდებლობა დადასტურებულია ს ნოტარო კანტორის მიერ (დებულება ჩეკების შესახებ, მუ 23, და ამ ინსტრუქციის § 134), ამ შემთხვევაში აღსრულ ბის წარწერა არ გაიცემა და გადახდევინება სანოტარო კა ტორის წარწერის საფუძველზე, რომლითაც დადასტურებუ ლია ჩეკის გაუნაღდებლობა, წარმოებს როგორც სააღსრუ ლებო დოკუმენტის საფუძველზე.

# თავი VI

## სამკვიდრო ქონების დაცვა და დამკვიდრების უფლების შესახებ მოწმობის გაცემა

### სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებანი

§ 90. მემკვიდრეობის დასაცავად ღონისძიებებს იღებს ს ხელმწიფო სანოტარო კანტორა მემკვიდრეობის გახსნის ადგ ლის მიხედვით (სამოქ. სამ. კოდ. მუხ. 428).

მემკვიდრეობის გახსნის ადგილად ჩაითვლება სამკვიდრო დამტოვებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, ე. ი. ადგილი, სადაც იგი სიკვდილის წინ მუდმივად ან უპირატ



სად ბინადრობდა თავისი სამსახურის, მუდმივი მოსაქმეობის გამო ან იმის გამო, რომ იქ მისი ქონება იყო (სამოქ. სამ. კოდ. მუხ. 430. შენიშვნა 2). როდესაც სამკვიდროს დამტოვებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი ცნობილი არ არის, მემკვიდრეობის გახსნის ადგილად ითვლება სამკვიდრო ქონების სამყოფელი ადგილი.

გარდაცვალებულის ქონების დასაცავად ღონისძიებები მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია სახელმწიფოს ან მემკვიდრეთა ინტერესებისათვის. საჭირო არაა სამკვიდრო ქონების დასაცავად ღონისძიებათა მიღება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა გარდაცვალებულის მემკვიდრეები მასთან ერთად ცხოვრობდნენ ან როცა მემკვიდრეები სახეზე არიან და არც ერთი მათგანი არ აცხადებს ამ ღონისძიებათა მიღების საჭიროების შესახებ.

§ 91. დასაცავ ღონისძიებათა მიღებისას ნოტარიუსი პირადად ან კანტორის პასუხისმგებელი შემსრულებლის მეშვეობით აწარმოებს ქონების აღწერას, დალუქავს დოკუმენტებს ან სხვა საცავებს დოკუმენტებით და ფასეული ნივთებით (საწერი მაგიდა, კარადა, ხქივრი და ა. შ.), თუ ამას საქმის ვითარება მოითხოვს, მაგალითად, მემკვიდრეების დაუსწრებლობის დროს.

ქონება ჩაბარდება შესანახად ერთ-ერთ მემკვიდრეს ან ამავე ბინაში, ანდა სახლში მცხოვრებ პირს, ან კიდევ გარეშე პირს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1945 წლის 20 თებერვლის № დ-9 დირექტივის შესაბამისად.

§ 92. თუ ქონების აღწერა შესრულებულია სახლმმართველობის, სასოფლო საბჭოს ან საფინანსო ორგანოს მიერ, ნოტარიუსი ქონების აღწერას აწარმოებს, მაგრამ ამოწმებს მას და, თუ ეს აღწერა არასრულად ან არასწორად არის ჩატარებული, ადგენს დამატებით აღწერას.

§ 93. ფულადი თანხები, რომელიც დარჩენილია გარდაცვალებულის შემდეგ დაცული ქონების შედგენილობაში, სანოტარო კანტორის მიერ ჩაბარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას სანოტარო კანტორის სადეპოზიტო ანგარიშზე მემკვიდრეებისათვის გადაცემამდე ან სახელმწიფოს

შემოსავალში ჩაბარებამდე, თუ ქონება ცნობილი იქნება
თალმანად.
სავალუტო ფასეულობანი (ოქრო, ვერცხლი, პლატინა ან პ
ტინის ჯგუფის მეტალების, მონეტების, ზოდების და ნედლ
ლის სახით უცხოეთის ვალუტა), საზღვარგარეთის ვალუტით
მოწერილი საგადასახადო დოკუმენტები (თამასუქები, ჩეკ
გზავნილები და ა. შ.) სანოტარო კანტორის მიერ, ფასეულობ
აღრიცხვის სპეციალურ წიგნში მათი რეგისტრაციის შემდ
დაუყოვნებლივ ჩაბარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბან
კანტორას ან განყოფილებას. სსრ კავშირის სახელმწიფო
კის კანტორა ან განყოფილება, დამკვიდრების უფლების
სახებ სანოტარო კანტორის მოწმობის წარდგენის შემდ
უხდის მემკვიდრეებს ან მათ მიერ უფლებამოსილ პირებს
თანადო ეკვივალენტს საბჭოთა ვალუტით.
სამკვიდრო ქონების დაცვის წესით სანოტარო კანტო
მიერ შესანახად მიღებული ძვირფასი ლითონის ნაკეთობ
(საათი, პორტსიგარი, აგრეთვე სახელმწიფო სესხების ობ
გაციები და ა. შ.) ასევე დაუყოვნებლივ უნდა ჩაბარდეს შ
ნახად, წიგნში მათი რეგისტრაციის შემდეგ, სსრ კავში
სახელმწიფო ბანკის კანტორას ან განყოფილებას, რომე
ინახავს მათ მემკვიდრეებისათვის გადაცემამდე (სსრ კავში
იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის სახ
მწიფო ბანკის გამგეობის 1939 წლის 8 სექტემბრის ინსტრ
ცია „სამკვიდრო ქონების შედგენილობაში შემავალ სავა
ტო და სხვა ფასეულობათა შენახვისა და რეალიზაციის წ
შესახებ“).
§ 94. როდესაც აღწერილი ქონების შედგენილობაში ა
იარაღი (გარდა სანადიროსი) ან ფეთქებადი ნივთიერ
ისინი ამოიღება და განსაკუთრებული აღწერილობით ჩაბ
დება მილიციის ორგანოებს ფასეულობათა აღრიცხვის წ
ნში შეტანის გარეშე.
ფასეულობათა და იარაღის ამოღების შესახებ აღწე
აქტში კეთდება სპეციალური წარწერა ნოტარიუსის ან მ
მოადგილის, ანდა სანოტარო კანტორის პასუხისმგებელი
რის, აგრეთვე აქტის შედგენაში მონაწილე პირთა ხელმო
რით და ამოღებული საგნების აღნიშვნით.



თუ დაცული ქონების შედგენილობაში აღმოჩნდება ძვირ-
ფასი ხელნაწერები, პროექტები, ლიტერატურული შრომები,
წერილები, რომლებსაც აქვთ მხატვრული, ისტორიული და
სამეცნიერო მნიშვნელობა, ეს დოკუმენტები შეიტანება ცალ-
კე აღწერაში და საპასუხისმგებლო შენახვისათვის ჩაბარდება
მემკვიდრეებს ან შესაბამის ორგანიზაციებს.
§ 95. მემკვიდრეობის გახსნის შესახებ ნოტარიუსი არსე-
ბული მისამართებითატყობინებს მემკვიდრეებს, რომლებიც
ადგილზე არ იმყოფებიან.
§ 96. როდესაც საანდერძო განკარგულების საგანს შეად-
გენს სავალუტო ფასეულობანი (ოქრო, ვერცხლი, პლატინა
ან პლატინის ჯგუფის მეტალები, მონეტების, ზოდების და
ნედლეულის სახით, უცხოეთის ვალუტა), უცხოეთის ვალუ-
ტით გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტები (თამასუქები,
ჩეკები, გზავნილები და ა. შ.), სანოტარო კანტორა გას-
ცემს მემკვიდრეებზე მოწმობას დამკვიდრების უფლების შე-
სახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი იქნება სა-
ხელმწიფო ბანკის ცნობა ნაანდერძევი ფასეულობათა მიღების
შესახებ (სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა
და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1939 წლის 8 სექტემბრის
ინსტრუქცია).

## მემკვიდრეობის უფლების შესახებ მოწმობის გაცემის ვადა

§ 97. მოწმობა დამკვიდრების უფლების შესახებ მიეცემა
ყველა მემკვიდრეს ექვსი თვის შემდეგ მემკვიდრეობის გახს-
ნის დღიდან.
თუ სანოტარო კანტორაში არის უდავო ცნობები იმის შე-
სახებ, რომ, გარდა იმ მემკვიდრეებისა, რომლებმაც შემოი-
ტანეს განცხადება მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მიცე-
მის შესახებ, სხვა მემკვიდრეები არ არიან, მოწმობა შეიძ-
ლება გაცემულ იქნეს ექვსი თვის ვადის გასვლამდეც.
§ 98. იმ შემთხვევაში, როდესაც ქონება ნაანდერძევია იმ
პირთა სასარგებლოდ, რომლებიც არ არიან ჩამოთვლილი სა-
მოქალაქო სამართლის კოდექსის 418 მუხლში, მემკვიდრეობის

უფლების მოწმობა გაიცემა ექვსი თვის ვადის გასვლის შე
დეგ, რაც დადგენილია მემკვიდრეების გამოსაცხადებლად.
§ 99. მემკვიდრეები, რომლებიც ადგილზე არ ესწრებ
და მემკვიდრეობაზე თავის უფლებებს განაცხადებენ მემკვი
რეობის გახსნის დღიდან ექვსი თვის ვადის გასვლის შემდ
მემკვიდრეობის მოწმობაში არ შეიტანებიან.
მოწმობის გაცემის შემდეგ გამოცხადებულ მემკვიდრე
ნოტარიუსი რჩევას აძლევს მიმართონ სათანადო სახალ
სასამართლოს სამკვიდრო ქონების თავიანთი წილის მოს
ხოვნად.

**მემკვიდრეობის უფლების დამამტკიცებელი საბუთები**

§ 100. იმ პირმა, ვინც აღძრა შუამდგომლობა მისთ
დამკვიდრების უფლების შესახებ მოწმობის მიცემაზე,
და წარადგინოს: ა) ამონაწერი მოქალაქეობრივი მდგომარ
ბის აქტების ჩასაწერი წიგნიდან სამკვიდროს დამტოვებლ
გარდაცვალების შესახებ; ბ) დამამტკიცებელი საბუთები სა
ვიდროს დამტოვებელთან მემკვიდრეების ნათესაური კავ
რის შესახებ (ამონაწერები მოქალაქეობრივი მდგომარეო
აქტების ჩასაწერი წიგნიდან, მეტრიკული მოწმობები, ნა
საური კავშირის დადგენის შესახებ სასამართლოს კანონ
ძალაში შესული დადგენილების ასლები, აღნიშვნები პასპ
ტებში და სხვა უტყუარი დოკუმენტები).
ანდერძით დამკვიდრების უფლების შესახებ მოწმო
მისაღებად წარდგენილი უნდა იქნეს, გარდა ნახსენები
კუმენტებისა, სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძის
დანი ან დუბლიკატი.
მოწმობები ნათესაური კავშირის შესახებ, რომლე
გაცემულია სახლმართველობის, მემკვიდრეთა სამსახუ
ადგილის დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ, და მო
ლაქეთა განცხადებები არ შეიძლება გამოყენებული იქ
ნათესაური კავშირის დამამტკიცებელ საბუთად.
§ 101. დოკუმენტები, რომლებიც წარდგენილი იყო
კვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების და იმ პირთა



კვიდრების უფლების დასამტკიცებლად, რომლებმაც აღძრეს შუამდგომლობა დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემის შესახებ, უბრუნდება უკან დოკუმენტების წარმომდგენ პირებს, საქმეში მათი ასლების ან ამონაწერების დატოვებით. ამ დოკუმენტების ასლებს წარადგენენ ის პირები, რომლებმაც აღძრეს შუამდგომლობა დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემის შესახებ. სანოტარო კანტორა ამოწმებს მათ, რის შესახებაც ნოტარიუსი ხელმოწერით უკეთებს წარწერას: „დედანთან სწორია“ (იხ. § 21). ასლები შეიძლება დამზადებული იქნეს სანოტარო კანტორის მიერ ბაჟის გადახდევინებით.

§ 102. თუ წარდგენილი დოკუმენტების (სახლმართველობის, სასოფლო საბჭოს ცნობების და ა. შ.) საფუძველზე ნოტარიუსი უეჭველად დარწმუნდება, რომ დამკვიდრების უფლების მოწმობაში შეტანის მთხოვნელი პირი არის შრომისუნარმოკლებული და გარდაცვალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდა არა ნაკლებ ერთი წელიწადი მის გარდაცვალებამდე, სანოტარო კანტორას შეაქვს იგი იმ მემკვიდრეთა რიცხვში, რომლებსაც ეძლევათ მოწმობა დამკვიდრების უფლების შესახებ (სამოქ. სამ. კოდ. მუხ. 418).

§ 103. მოწმობა ქონების დამკვიდრების უფლების შესახებ ეძლევა ყველა მემკვიდრეს ერთად ან თითოეულს ცალკე — მათი სურვილისამებრ.

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს მთელი ქონებიდან ერთხელ.

მოწმობაში ჩამოთვლილი იქნება ქონება, მისი ადგილსამყოფელი და შეფასება, აღინიშნებიან მემკვიდრეები, თითოეული მათგანის წილი და გადახდევინებული სახელმწიფო ბაჟის თანხა.

**გარემოებანი, რომლებიც შემოწმდება ნოტარიუსის მიერ**

§ 104. დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემის შესახებ შუამდგომლობის განხილვის დროს ნოტარიუსი ამოწმებს, ეკუთვნოდა თუ არა გარდაცვალებულს შენობები და აგრეთვე ისეთი სამკვიდრო ქონება, რომელიც საჭიროებს

სპეციალურ რეგისტრაციას: ავტომანქანები, მოტოციკლ
და ა. შ.
§ 105. სამკვიდრო ქონების სიაში შეიტანება შენობ
რომელიც ცნობილია სამკვიდროს დამტოვებლის კუთვნი
ბად კომუნალური ორგანოს დოკუმენტების ან სხვა, კანონ
რად შედგენილი დოკუმენტების თანახმად (სანოტარო წე
დამოწმებული ხელშეკრულებებით და სხვ.). თუ ცოცხლ
დარჩენილი მეუღლე წარადგენს აღმასრულებელ ფურც
ან სასამართლოს გადაწყვეტილების ასლს, მისი კანონ
ძალაში შესვლის შესახებ წარწერით, რომლის მიხედვით
საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდე
17 მუხლის თანახმად, ცნობილია ამ მეუღლის უფლებ
შენობის წილზე, რომელიც დოკუმენტების საფუძველზე ი
ლება გარდაცვალებული სამკვიდროს დამტოვებლის კუთ
ლებად, სამკვიდრო ქონების სიაში აღინიშნება ის წილ
რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია გარდაცვალებუ
სამკვიდროს დატოვებლის კუთვნილებად.
§ 106. საანდერძო განკარგულების გარეშე დარჩენ
ქონებაზე გაიცემა განსაკუთრებული მოწმობა კანონით
კვიდრეებზე. ამ მოწმობაში აღინიშნება, რომ მოწმობა
ხება იმ ქონებას, რომელიც არ შეადგენს საანდერძო განკ
გულების საგანს, და მოხსენებული იქნება დამკვიდრების
ლების მოწმობა, რომელიც მიეცა ანდერძით მემკვიდრე
§ 107. მოწმობა ანდერძით დამკვიდრების უფლების
სახებ კეთდება წარმოდგენილი ანდერძის დედანზე წარწე
სახით.

### მოწმობა ბეითალმანობის შესახებ

§ 108. კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში მემკვ
რეთა გამოუცხადებლობის, მემკვიდრეობის მიღებაზე უარ
თქმის ან მოანდერძის მიერ ყველა მემკვიდრისათვის დამკვ
რების უფლების მოსპობის შემთხვევაში, სანოტარო კანტო
მემკვიდრეობის გახსნის ადგილზე გასცემს მოწმობას სა
ნანსო განყოფილებისათვის ქონების ბეითალმანობის შესახ
გარდა შენობებისა, რომლებიც კომუნალურ განყოფილე
გადაეცემა.



მოწმობა ბეითალმანობის შესახებ გაიცემა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელად.

§ 109. იმ შემთხვევაში, თუ ბეითალმანად ცნობილი ქონების შემადგენლობაში შედის ძვირფასი ხელნაწერები, ლიტერატურული შრომები ან წერილები, რომლებსაც აქვთ ისტორიული და სამეცნიერო მნიშვნელობა, სანოტარო კანტორა, ადგილობრივი საფინანსო ორგანოსათვის ბეითალმანობის შესახებ მოწმობის გაგზავნასთან ერთდროულად, უგზავნის სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებს, მუზეუმებს, ცენტრალურ ბიბლიოთეკებს აღწერილობის ასლებს იმ დროის აღნიშვნით, როცა ფინანსთა სამინისტროს ორგანოებს გადაეცემა ეს ქონება, როგორც ბეითალმანი, სარეალიზაციოდ, „ბეითალმანი ქონების აღრიცხვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 17 აპრილის დადგენილების შესაბამისად.

### დამკვიდრება საკოლმეურნეო და ერთპიროვნულ საგლეხო კომლში

§ 110. პირადი საკუთრების უფლებით საკოლმეურნეო კომლის ან ერთპიროვნული საგლეხო კომლის კუთვნილი ქონება (საცხოვრებელი სახლი, პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი) შეიძლება იყოს საანდერძო განკარგულების საგანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოანდერძე არის კომლის ერთადერთი და უკანასკნელი წევრი, რაც აღინიშნება ანდერძის ტექსტში.

§ 111. იმ კომლის ქონების მიმართ, რომლის არსებობა შეწყვეტილია მისი უკანასკნელი წარმომადგენლის გარდაცვალების გამო, როცა არ არის კომლის უკანასკნელი წარმომადგენლის საანდერძო განკარგულება, გამოიყენება კანონით დამკვიდრების უფლება საერთო წესით (სამოქ. სამ. კოდ. მუხ. 418).

კომლის ერთადერთი და უკანასკნელი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, როდესაც არ არის ანდერძი და არ არიან მემკვიდრეები, ან როდესაც მემკვიდრეები უარს აცხადებენ მემკვიდრეობაზე, სანოტარო კანტორა გასცემს საფი-

ნანსო ორგანოსადმი მოწმობას კომლის ქონების ბეითალ-
ნობის შესახებ.

§ 112. ქონება, რომელიც კომლის ცალკეულ წევრს ეკუ-
ნის პირადი საკუთრების უფლების საფუძველზე, შეიძლ-
გახდეს ანდერძის საგანი. ასეთი ქონების მიმართ გამო-
ნება მემკვიდრეობის სამართლის ნორმები, რომლებიც სა-
ქალაქო სამართლის კოდექსით არის გათვალისწინებული.

**სამემკვიდრეო და საბეითალმანო საქმეების აღრიცხვა**

§ 113. სამემკვიდრეო და საბეითალმანო საქმეების
რიცხვის მიზნით სანოტარო კანტორაში ქრონოლოგი-
წესით წარმოებს სარეგისტრაციო წიგნი, რომელშიაც შ-
ტანება ყველა შემოსული განცხადება სამემკვიდრეო და
ბეითალმანო საქმეებზე.

სარეგისტრაციო წიგნი შეიცავს შემდეგ სავალდებუ-
სვეტებს: 1. განცხადების შემოსვლის თარიღი. 2. შემოსვლ-
რიგითი ნომერი, რომელიც ითვლება საქმის ნომრად. 3. გა-
დაცვალებულის სახელი, მამის სახელი და გვარი. 4. გარ-
ცვალების დრო.

წიგნში განცხადების შეტანის შემდეგ დგება საქმე, რო-
ლიც უნდა ჩაიწეროს მეორე წიგნში — „ანბანში“, სათანა-
ასოზე.

ზონარგაყრილი „ანბანი“ დამოწმდება ლუქის ბეჭდით
შეიცავს შემდეგ სვეტებს: 1. ანბანში საქმის შეტანის თა-
ლი. 2. გარდაცვალებულის სახელი, მამის სახელი და გვა-
3. საქმის ნომერი სარეგისტრაციო წიგნის მიხედვით. 4. გა-
დაცვალების დრო. 5. დამკვიდრების უფლების ან ბეითა-
მანობის შესახებ მოწმობის გაცემის თარიღი და ნომერი რე-
ტრის მიხედვით. 6. არქივში საქმის გადაცემის თარიღი.

§ 114. დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემის შესა-
თითოეული განცხადების გამო დგება ცალკე საქმე.

საქმეში ჩაიკერება მემკვიდრეთა განცხადებები, ნათესაუ-
კავშირის დასადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტებ-
ასლები, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, დამკვიდრების უ-
ლების შესახებ გაცემული მოწმობების ასლები, ანდერძის



ლი, თუ ანდერძი დამოწმებულია სხვა სანოტარო კანტორის
მიერ, დოკუმენტი სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალე-
ბის შესახებ, სამკვიდრო ქონების აღწერის აქტი, თუ აღწე-
რას ადგილი ჰქონდა, და ა. შ.

# თავი VII

## დოკუმენტების ასლებისა და დოკუმენტებიდან ამონაწერების სისწორის შემოწმება

§ 115. სანოტარო კანტორამ არ უნდა მიიღოს შესამოწ-
მებლად ისეთი დოკუმენტების ასლები, რომლებიც თავიანთი
შინაარსით კანონის საწინააღმდეგოა, საიდუმლოა ან გასამჟ-
ღავნებელი არაა.

სანოტარო კანტორამ არ უნდა შეამოწმოს პასპორტის,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტის,
პროფკავშირული ორგანიზაციის საწევრო ბილეთის, სსრ კავ-
შირის და მოკავშირე რესპუბლიკის ორდენით ან სიგელით
დაჯილდოების დოკუმენტის, დამკვრელის სიგელისა და წიგ-
ნაკის, სადეპუტატო მანდატის, სამხედრო ბილეთის ასლები-
სა და ამონაწერების სისწორე (სსრ კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის
3 ივნისის დადგენილება. სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 37,
მუხ. 149), აგრეთვე პატიმრობის ადგილიდან განთავისუფ-
ლების ცნობის, სხვადასხვა ქალაქებში შესვლის უფლების და
ქარხნებსა და საწარმოებში შესვლის უფლების ნებართვის,
სამხედრო სარდლობის დავალებათა შესრულების შესახებ,
სამხედრო მოსამსახურეთა მოწმობების, პირადობის მოწმო-
ბების, პარტიზანულ რაზმებში ამა თუ იმ პირთა ყოფნის შე-
სახებ ცნობების, შრომის წიგნაკების ასლების, აგრეთვე ფან-
ქრით დაწერილი დოკუმენტების ასლების სისწორე.

§ 116. საკავშირო და რესპუბლიკური მთავრობის დადგე-
ნილების, სასამართლო ორგანოს განაჩენის, სამეურნეო, კო-
ოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდების
ან დებულების, უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის ასლე-
ბის შემოწმება, აგრეთვე ყოველივე დოკუმენტის ასლის

შემოწმება წარმოებს მხოლოდ ქალაქების თბილისის,
თაისის, სუხუმის, ბათუმისა და სტალინირის პირველი სახ
მწიფო სანოტარო კანტორების მიერ (სსრ კავშირის ცე
რალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბ
1937 წლის 3 ივნისის დადგენილება, სსრ კავშირის კანონ
კრებული 1937 წ. № 37, მუხ. 149).

სახელმწიფო დაწესებულებებისა, საწარმოებისა, კოოპერ
ციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის წესდებ
და დებულების ასლის შემოწმება შეუძლია ყოველ სანოტ
რო კანტორას.

§ 117. დოკუმენტის შესამოწმებელი ასლი ან ამონაწე
შედარდება დედანთან და წარწერაში აღინიშნება, ჰქონდა
არა დედანში ადგილი შესწორებას, ამოფხეკას, მიწერ
სიტყვების წაშლასა და სხვა თავისებურებებს.

თუ ასლის გადასაღებად წარდგენილ დოკუმენტში აღმო
დება შესწორება და ამოფხეკა, რომელიც ტექსტში მოხს
ნებული არაა და შინაარსს ცვლის, ასეთი დოკუმენტი შე
მოწმებლად არ მიიღება.

§ 118. ამონაწერის სისწორე შეიძლება შემოწმებული იქნე
მხოლოდ ისეთი დოკუმენტიდან, რომლის შინაარსი რამდ
ნიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ საკითხს შეეხება, როგო
რიცაა, მაგალითად, ამონაწერი ერთ-ერთ საკითხზე სხდომი
ოქმიდან.

ამონაწერი უნდა შეიცავდეს სრულ ტექსტს, რომელიც გან
საზღვრულ საკითხს ეხება.

§ 119. ოქმებიდან ასლების და ამონაწერის შემოწმებისა
გამგეობის და სხვა ორგანიზაციების წევრთა შორის ვალდე
ბულებათა განაწილების შესახებ ნოტარიუსი ამოწმებს ოქმ
ში ჩაწერილის შესაბამისობას ორგანიზაციის წესდებასთან და
დებულებასთან.

## თ ა ვ ი VIII

### ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის შესრულება და თარგმანის სისწორის შემოწმება

§ 120. როდესაც სანოტარო კანტორაში არ არის მთარგ-
მნელი უცხო ენებიდან და მოკავშირე რესპუბლიკების ენები-
დან, ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის დამზადება და მისი



ორის შემოწმება, აგრეთვე უცხო ენებზე და მოკავშირე
პუბლიკების ენებზე შედგენილი დოკუმენტების ასლების
მოწმება, სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხ-
ის შესაბამისად, შეიძლება შესრულებული იქნეს იმ პირის
ერ, რომელიც ნოტარიუსისათვის ცნობილია და რომელ-
მაც იცის ენა, რომლიდანაც ან რომელზედაც უნდა შესრულდეს
თარგმანი. ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსი ამოწმებს მთარგ-
მნელის ხელმოწერის სინამდვილეს.

§ 121. თუ სანოტარო მოქმედების შესრულების დროს ერთ-
დროულად სრულდება სხვა ენაზე თარგმანიც, მაშინ თარგ-
მანი მოთავსდება ერთ ფურცელზე დედანთან ერთად, ორივე
ტექსტი ერთიმეორის გვერდით, ერთ გვერდზე, რომელიც გა-
იყოფა შვეული ხაზით, ისე რომ დედნის ტექსტი მოთავსდეს
გვერდის მარცხენა მხარეზე, ხოლო თარგმანი — მარჯვენა მხა-
რეზე. თარგმანი უნდა შესრულდეს სათარგმნი დოკუმენტის
მთელი ტექსტის, ხელმოწერების ჩათვლით. თარგმანის ქვეშ
თავსდება მთარგმნელის ხელმოწერა. დამოწმების წარწერა
თავსდება ორივე ტექსტის — დოკუმენტისა და მისი თარგმა-
ნის პირდაპირ (სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისა-
რიატის 1936 წლის 23 ნოემბრის № 12 ბრძანებაზე დართუ-
ლი ფორმა № 31).

## თ ა ვ ი IX

### ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება

§ 122. ხელმოწერის სინამდვილის დასამოწმებლად მიიღე-
ბა ისეთი დოკუმენტი, რომელიც თავისი შინაარსით კანონს
არ ეწინააღმდეგება და გარიგების ხასიათი არა აქვს.

ხელმოწერის დამოწმების დროს ნოტარიუსი ამოწმებს მხო-
ლოდ მის სინამდვილეს, მაგრამ არ ადასტურებს გარემოებას,
რაც მოტანილია იმ პირის განცხადებაში, რომლის ხელმო-
წერაც მოწმდება.

§ 123. როდესაც ხდება იმ პირის ხელმოწერის სინამდვი-
ლის დამოწმება, რომელიც ხელს აწერს სხვა პირის მაგიერ,
რომელსაც არ შეუძლია საკუთარი ხელის მოწერა წერა-კი-
თხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის

გამო. სანოტარო კანტორა ამოწმებს როგორც ხელის მო
წერის, ისე იმის პირადობას, რომლის მაგივრადაც ეს პი
ხელს აწერს (ამ ინსტრუქციის § 8).

დამოწმების წარწერაში აღინიშნება ხელის მომწერის ს
ხელი, მამის სახელი, გვარი და მის მიერ სხვა პირის მაგ
რად ხელის მოწერის მიზეზი.

§ 124. სანოტარო კანტორამ არ უნდა დაამოწმოს ხელმ
წერის სინამდვილე მოწმობებსა და განცხადებებზე, თუ
განცხადებებში მოქალაქენი ადასტურებენ ისეთ გარემოებე
რის დადასტურებაც ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფო ო
განოს (მაგალითად, დაბადების, გარდაცვალების დრო, ასა
და ა. შ.).

§ 125. სანოტარო კანტორებს ეკრძალებათ მოქალაქე
ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება ანგარიშებსა და ხე
წერილებზე, რომლებსაც ისინი სახელმწიფო ორგანოებ
კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წა
მომადგენლებს აძლევენ მათგან ფულადი თანხების მიღებ
ამ ორგანიზაციებისათვის მიყიდული სასოფლო-სამეურნ
პროდუქტებისა და სხვა საქონლისათვის, მასალებისა და
წეული მომსახურებისათვის (სსრ კავშირის იუსტიციის სახა
ხო კომისრის 1940 წლის 30 ივლისის ბრძანება № 89).

§ 126. იმ მოქალაქეთა ხელმოწერის სინამდვილის დამო
მება, რომლებიც ადასტურებენ შრომის სტაჟს, შეიძლე
მხოლოდ იმ განცხადებებზე, რომლებიც წარდგენილი უნ
იქნეს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში პენსი
დანიშვნის მიზნით.

მოწმეთა ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება მათს გ
ცხადებაზე პედაგოგიური მუშაობის სტაჟის შესახებ წარმ
ებს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 19
წლის 23 აპრილისა და 18 აგვისტოს № დ-16 და № დ-28
რექტივების შესაბამისად.

განცხადებებში აღნიშნული უნდა იყოს, თუ სად იქნ
ისინი წარდგენილი.

§ 127. სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში წარსად
ბარათებზე სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოებ



კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირთა ხელმოწერის ნიმუშების შემოწმების დროს ნოტარიუსი, იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერა მისთვის უცნობია, მოითხოვს ხელმოწერის ნიმუშის მიმცემის პირად გამოცხადებას და აგრეთვე ამოწმებს მის უფლებამოსილებას ხელმოწერის უფლებაზე.

# თავი X

## პროტესტი უაქცეპტობის გამო

### თამასუქების პროტესტი

§ 128. პროტესტი გადასაპირებელი თამასუქის უაქცეპტობის გამო წარმოებს სანოტარო კანტორის მიერ გადამხდელის საცხოვრებელ (სამყოფელ) ადგილზე. გადასაპირებელი თამასუქის უაქცეპტობის გამო პროტესტისათვის სანოტარო კანტორაში წარდგენის დღეს ნოტარიუსი ან მისი მოადგილე წარუდგენს გადამხდელს თამასუქს და წინადადებას აძლევს დადგენილი წესით აღნიშნოს თამასუქზე აქცეპტი (დებულება გადასაპირებელი და უბრალო თამასუქების შესახებ, მუხ. 25. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 აგვისტოს დადგენილება. სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 52. მუხ. 221).

§ 129. უკეთუ გადამხდელი უარს იტყვის აქცეპტზე ან არ აღნიშნავს აქცეპტს, ნოტარიუსი იმავე დღეს ადგენს უაქცეპტობის გამო პროტესტის აქტს, თამასუქზე ამის აღნიშვნით.

§ 130. უაქცეპტობის გამო თამასუქის პროტესტი შესრულებული უნდა იქნეს განაღდების ვადის დადგომამდე (დებულება თამასუქების შესახებ, მუხ. 21). იმ შემთხვევაში, თუ თამასუქი წარდგენილი იყო ვადის უკანასკნელ დღეს და გადამხდელის მოთხოვნით წარდგენილი იყო ხელმეორედ მეორე დღეს, პროტესტი უაქცეპტობის გამო შეიძლება შესრულებული იქნეს აქცეპტისათვის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ მეორე დღეს (დებულება თამასუქების შესახებ, მუხ. 44).

§ 131. ასეთივე წესით შესრულდება: 1) გადასაპირებელი თამასუქის პროტესტი თუ თამასუქი წარდგენილია პროტეს-

ტისათვის აქცეპტის თარიღის უქონლობის გამო (დებულ
თამასუქების შესახებ, მუხ. 25); 2) პროტესტი უაქცეპტო
გამო შუამავლობის წესით (დებულება, მუხ. 56).

### პროტესტი გაუნაღდებლობის გამო

§ 132. გადასაპირებელი და უბრალო თამასუქის განაღდ
ბის ადგილის სანოტარო კანტორა ღებულობს გაუნაღდ
ლობის გამო პროტესტისათვის გადასაპირებელ ან უბრალ
თამასუქს განსაზღვრული დღის ვადით, ან თამასუქის შე
გენიდან ან წარდგენიდან ამდენ და ამდენ დროში, თუ თ
მასუქი წარდგენილია სანოტარო კანტორაში თამასუქის წარ
გენის დღეს ან ერთ-ერთ დღეს იმ ორი სამუშაო დღიდ
რომელიც მოსდევს დღეს, როდესაც გადასაპირებელი ან უ
რალო თამასუქი უნდა იქნეს განაღდებული. ნოტარიუსი
ნოტარიუსის მოადგილე ორი სამუშაო დღის განმავლობაშ
რომელიც მოსდევს იმ დღეს, როდესაც თამასუქი უნდა იქნ
განაღდებული, წარუდგენს გადამხდელს თამასუქს გასანა
დებლად და, უკეთუ გადამხდელი მის განაღდებაზე უარს იტ
ვის ან თამასუქს არ გაანაღდებს, ადგენს გაუნაღდებლობ
გამო პროტესტის აქტს, თამასუქზე პროტესტის შესახებ ა
ნიშვნით (დებულება გადასაპირებელი და უბრალო თამასუქ
ბის შესახებ, მუხ. 44).

§ 133. წარდგენის ვადით გაცემული გადასაპირებელი
უბრალო თამასუქის გაუნაღდებლობის გამო პროტესტი სრულ
დება იმავე წესით, რაც დადგენილია გადასაპირებელი
უბრალო თამასუქის უაქცეპტობის გამო პროტესტის შესა
რულებლად (ამ ინსტრუქციის § § 128—130).

## თ ა ვ ი XI

### ჩეკის გაუნაღდებლობის დამოწმება

§ 134. სანოტარო კანტორის მეშვეობით გადამხდელისა
ვის წარსადგენად და გაუნაღდებლობის დასამოწმებლად ჩეკ
წარდგენილი უნდა იქნეს სანოტარო კანტორაში გადამხდ



...ის სამყოფელ ადგილას. სანოტარო კანტორა ამოწმებს, შე-
ესაბამება თუ არა ჩეკი ჩეკების შესახებ დებულების 1-ლი და
მე-2 მუხლების მოთხოვნებს (სსრ კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის
ნოემბრის დადგენილება, სსრკ კან. კრ. 1929 წ. № 73, მუხ. 697)
და არის თუ არა ჩეკის წარმომდგენი პირი ჩეკის კანონიე-
რი მქონებელი. საორდერო ჩეკის წარდგენისას, რომლის მე-
ორე გვერდზე არის გადაცემის ან გადარწმუნების წარწერა,
სანოტარო კანტორა ამოწმებს, შეუწყვეტელია თუ არა წარ-
წერათა რიგი..

§ 135. ჩეკი წარდგენილი უნდა იქნეს სანოტარო კანტო-
რაში 10 დღის განმავლობაში დღიდან ჩეკის გაცემისა ან ამ
ვადის გასვლის მეორე დღეს. ამ ვადის გაშვებით წარდგენილ
ჩეკს სანოტარო კანტორა არ მიიღებს (დებულება ჩეკების
შესახებ, მუხ. 11).

§ 136. ნოტარიუსი წარუდგენს გადამხდელს ჩეკს გასანაღ-
დებლად, ხოლო ჩეკის განაღდებაზე უარისთქმის შემთხვევაში
ნოტარიუსი აკეთებს წარწერას ჩეკის წარდგენის შესახებ —
წარდგენის დროის აღნიშვნით, წარწერა შეაქვს რეესტრში
მასში ჩეკის გაცემის თარიღის, ადგილის, გადამხდელის, ჩე-
კის გამცემის, მიმდინარე ანგარიშის ნომრის, აგრეთვე წარ-
წერის გამკეთებელთა აღნიშვნით, თუ ასეთები არიან. აჰ წარ-
წერის მქონე ჩეკით გადახდევინება წარმოებს იმავე წესით,
რაც დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრუ-
ლებისათვის.

## თ ა ვ ი XII

### პირებისა და დაწესებულებების განცხადებათა გადაცემა სხვა პირებსა და დაწესებულებებისათვის

§ 137. განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს სანოტარო
კანტორაში ორ ან სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი
გადაეცემა განცხადებაში აღნიშნულ პირს ან ეგზავნება მას
ფოსტით უკან დასაბრუნებელი შეტყობინებით, მეორე რჩება
სანოტარო კანტორის საქმეებში, ხოლო მესამეზე კი, განმცხა-

დებლის სურვილისამებრ დამოწმდება ადრესატისათვის გ ცხადების გადაცემა. განცხადება მიიღება მხოლოდ იმ პირ ბით, თუ ის რაიმე არაკანონიერს არ შეიცავს. განცხადება აღნიშნულის სისწორეს და პირადობას ნოტარიუსი არ ამ მებს.

მოწმობაში შეიტანება შემდეგი ცნობები: 1) სანოტა კანტორის მიერ განცხადების მიღების დრო, მისი შინაარს აღნიშვნით: 2) ადრესატისათვის განცხადების ჩაბარება ადრესატის მიერ განცხადების მიღებაზე უარისთქმა, ან ადრესატისათვის განცხადების ჩაბარების შეუძლებლობა.

განმცხადებლის სურვილისამებრ მოწმობაში შეიტანე ცნობა განცხადებაზე პასუხის მიღების დროის და პასუხის შ ნაარსის შესახებ ან იმის აღნიშვნა, რომ პასუხი მიღებულ არაა.

## თავი XIII

### უდავო გარემოებათა დამოწმება
### მოწმობა ცოცხლად ყოფნის შესახებ

§ 138. დაინტერესებულ პირთა თხოვნით სანოტარო კა ტორა გასცემს მოწმობას პირის ცოცხლად ყოფნის შესახე

ამ შემთხვევაში საჭიროა შუამდგომლობის განმცხადებლ პირადად გამოცხადება და მისი პირადობის შემოწმება. გამო ცხადებული ხელს აწერს ნოტარიუსის თანდასწრებით. მო მობაში, გარდა ცოცხლად ყოფნის ფაქტისა, აღინიშნებ ცოცხლად მყოფი პირის საცხოვრებელი ადგილი.

სანოტარო კანტორის მიერ გაიცემა აგრეთვე მოწმო მცირეწლოვანთა ცოცხლად ყოფნის შესახებ მათი მეურვე ბის ან მშობლების თხოვნით. არასრულწლოვანი უნდა გამო ცხადდეს პირადად, მეურვის, მზრუნველის ან ერთ-ერთი მშო ლის თანხლებით. თუ არასრულწლოვანი ცხოვრობს მეურვე თან ან მზრუნველთან, ამის შესახებ აღინიშნება მოწმობაშ

აღნიშნული მოწმობის გაცემისათვის წარმოებს სახელმწ ფო ბაჟის გადახდევინება ხუთი მანეთის რაოდენობით.



### დოკუმენტის წარდგენის დროის დამოწმება

§ 139. ნოტარიუსისათვის დოკუმენტის წარდგენის დროის დამოწმება წარმოებს თვითონ დოკუმენტზე, დოკუმენტის წარმომდგენი პირის აღნიშვნით.

ამ შემთხვევაში ნოტარიუსი ამოწმებს დოკუმენტის წარმომდგენის პირადობას და ახდევინებს სახელმწიფო ბაჟს.

## თავი XIV

### დამამტკიცებელ საბუთების უზრუნველყოფა

§ 140. დამამტკიცებელ საბუთების უზრუნველყოფისათვის ნოტარიუსი იღებს ზომებს საქმის გარემოებათა გამოსარკვევად, რისთვისაც აწარმოებს დათვალიერებას და მოწმეთა დაკითხვას. როდესაც საჭიროა ისეთი გარემოების გამორკვევა, რომელიც შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირთა მიერ, სანოტარო კანტორა დაინტერესებულ პირთა თხოვნით ან თავისი შეხედულებით საქმის გარემოებათა შესაბამისად, გამოიწვევს ექსპერტებს.

§ 141. დამამტკიცებელ საბუთების უზრუნველყოფის დროს ნოტარიუსი ადგენს აქტს, რომელშიაც აღნიშნავს: 1) აქტის შესრულების ადგილისა და დროის და საქმის მოკლე დასახელებას; 2) გამოცხადებულ დაინტერესებულ პირთა, მოწმეთა და ექსპერტთა სახელს, მამის სახელსა და გვარს და მათს მისამართებს; 3) მოწმეთა ჩვენების შინაარსს, დათვალიერების ან ექსპერტიზის მონაცემებს; 4) მონაწილე პირებისა და ნოტარიუსის ხელმოწერას.

§ 142. მოწმეთა დაკითხვა წარმოებს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლების შესაბამისად. მოწმეთა ჩვენებები ნოტარიუსის მიერ შეიტანება ოქმში შეძლებისდაგვარად ზუსტად და დასტურდება მოწმეთა ხელმოწერით. ექსპერტთა დასკვნა შეიტანება აქტში სიტყვასიტყვით და დასტურდება ხელმოწერით ან, თუ დასკვნა შედგენილია თვითონ ექსპერტთა მიერ, ხელს აწერენ ექსპერტები და ადასტურებენ მხარეები და ნოტარიუსი. არავითარი საკუთარი დასკვნა, შენიშვნა ან მოსაზრება ნოტარიუსს აქტში არ შეაქვს.

§ 143. წარმოების დამთავრების შემდეგ სანოტარო კანტორა აძლევს იმ პირს, ვინც განაცხადა დამამტკიცებელ საბუთის უზრუნველყოფის შესახებ, აქტსა და ექსპერტთა დასკვნას, თავისთან კი იტოვებს ასლებს.

§ 144. იმ პირმა, რომელიც მოითხოვს დამამტკიცებელ საბუთების უზრუნველყოფას, უნდა შეიტანოს სანოტარო კანტორის სალაროში ფულადი თანხა მოწმეების, ექსპერტების, დაინტერესებული პირების გამოწვევასთან და მტკიცებულებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დასაფარავად. ექსპერტებსა და მოწმეებს მათი საქმიანობისა და მოცდენისათვის ეძლევათ განმცხადებელთა ხარჯზე გასამრჯელო იმ ოდენობით, რაც ნაჩვენებია სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის პროკურატურის ინსტრუქციაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 29 აპრილს № 597-ით (სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის 1939 წლის 4 მაისის ბრძანება № 31).

## თ ა ვ ი XV

### დეპოზიტში ვალდებულების საგნების (ფულადი თანხების და ფასიანი ქაღალდების) მიღება კუთვნილებისამებრ გადასაცემად

§ 145. სანოტარო კანტორის დეპოზიტში სამოქალაქო სამართლის კოდექსის 114 მუხლის წესით ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების წარდგენისას მოვალე აღნიშნავს:

ა) თავის სახელწოდებასა და მისამართს;

ბ) იმ პირის სახელწოდებასა და უკანასკნელ ცნობილ მისამართს, რომლისთვისაც შეტანილია ვალდებულებათა საგნები;

გ) დასაბუთებასა და გაანგარიშებას, რომლის მიხედვითაც შეტანილია საგნები;

დ) ვალდებულების უშუალოდ შესრულების შეუძლებლობის მიზეზებს.

განცხადება შეიძლება შეტანილი იქნეს როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად. იმ ფულად თანხას, რომელიც შემოსულია ფოსტით ან საკრედიტო დაწესებულებიდან, გამოაკლდება კუთვნილი სახელმწიფო ბაჟი და ნაშთი მიიღება დეპოზიტში.





§ 146. დეპოზიტში ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების შემომტანს სანოტარო კანტორა აძლევს ქვითარს შემოტანის შესახებ. მოვალის თხოვნით სანოტარო კანტორას შეუძლია მისთვის წარდგენილ სავალო დოკუმენტზე გააკეთოს წარწერა შემოტანის შესახებ.

სანოტარო კანტორა ატყობინებს კრედიტორს მის სახელზე ფულადი თანხის შემოტანის შესახებ. თუ კრედიტორის მისამართი ნაჩვენები არაა, მისთვის დეპოზიტში ფულის შეტანის შესახებ შეტყობინება დაეკისრება დეპოზიტში ფულადი თანხის შემტანს.

§ 147. დეპოზიტიდან მოუთხოვნელი თანხების შენახვის ვადები და სახელმწიფოს შემოსავალში მათი გადარიცხვის წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 21 ივნისის დადგენილებით (სსრ კავშირის დადგენილებათა კრებული 1938 წ. № 30, მუხ. 185) და სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1942 წლის 24 აპრილის № დ-8 დირექტივით.

**საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი**

[redacted]

1952 წლის 23 დეკემბერი.
№ 9.